# მწერლის გაზეთი



საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი

№4 (263)

15 მაისი
15 ივნისი
2018

ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ


# რა ხდება?

2017 წელს დაუჯერებელი ამბავი მოხდა. მიუხედავად მწერალთა კავშირის არაერთგზისი შეხსენებისა, საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის ჩატარებაზე.

ეს ამბავი მსოფლიოში ელვისსისწრაფით გახმაურდა.

ვერავინ გაიგო, რას ერჩოდნენ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს, გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს.

და ვაჟა-ფშაველას პრემიის მიმნიჭებელ კომისიაში არ შეიყვანეს რუსთაველის პრემიის არცერთი ლაურეატი. რა დააშავეს რეზო ამაშუკელმა, ელდარ შენგელაიამ, ტარიელ ჭანტურიამ, გურამ დოჩანაშვილმა, რევაზ მიშველაძემ, ვაჟა აზარაშვილმა, ვახტანგ დავითაიამ, თამაზ ჭილაძემ, ოთარ იოსელიანმა, ნანი ბრეგვაძემ, გივი თოიძემ, ზურაბ ნიჟარაძემ, თენგიზ არჩვაძემ და სხვებმა.

## კიდევ ერთხელ დასცინეს შოთა რუსთაველს

უკანასკნელ წლებში მთავრობამ რუსთაველის კომიტეტი გააუქმა, რითაც ფაქტიურად გააუქმა საქართველოში (და იქნებ მთელ მსოფლიოში) ყველაზე პრესტიჟული პრემია - რუსთაველის პრემია.

და ახლახან, საზოგადოების დაჟინებული ზეწოლით, პრეზიდენტმა კეთილ ინება და განაახლა რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას საპრემიოდ მასალების მიღება.

არ გაინტერესებთ, ვინ არიან რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრები?

აი, ისინიც:

ნინო გედევანიშვილი (ხელოვნებათმცოდნე - თავმჯდომარე);

მანანა ბერიკაშვილი (მინისტრის მოადგილე);

მანანა კორძაია (მუსიკოსი);

დავით ანდრიაძე (ფილოსოფოსი);

გოგი გვახარია (ხელოვნებათმცოდნე);

დავით ბუხრიკიძე (ხელოვნებათმცოდნე);

მანანა დოიჯაშვილი (მუსიკათმცოდნე);

ზურაბ კიკნაძე (ფილოლოგი);

ზაალ ჩხეიძე (ლიტერატურათმცოდნე).

როგორც ხედავთ, რუსთაველის განა ამათი რეკომენდაციით გაცემულ რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას პრემიას მეტი ფასი და დამაჯერებლობა არ ექნებოდა?

კიდევ ერთხელ ჩავხედოთ პრეზიდენტის მსუბუქი ხელით დამტკიცებულ საპრემიო კომისიას.

ვინ არიან, რითი გამოიჩინეს თავი პრეზიდენტისთვის ძვირფასმა ამ პერსონებმა?

ფიცში რომ არ ჩავიყოლოთ ამათგან პროფესიონალები თეატრმცოდნე მანანა ბერიკაშვილი და მუსიკათმცოდნე მანანა დოიჯაშვილი ბრძანდებიან.

დანარჩენები?

რა ცოდნით და სინდისით უნდა განსაჯონ რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას საპრემიოდ წარდგენილი ნაწარმოებები ამ მოქალაქეებმა?

მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ჩანასახოვანი ცოდნის პოზიციებიდან?

ამგვარი „ჟიურის“ გადამკიდე რუსთაველის და ვაჟას პრემიასაც ხომ გაბიაბრუების ისეთივე ბედი ელის, როგორიც ე. წ. „საბას“ პრემიას დაემართა?

ვაი შენ, უბედურო საქართველოვ!

*საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრი*

## როდემდე, კატილინა, როდემდე?

საქართველოში გამოდის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რომელიც კარგად აგრძელებს თავის მრავალწლიან ტრადიციას და ფართოდ, საინტერესოდ აშუქებს ქვეყნის კულტურულ (აგრეთვე პოლიტიკურ) ცხოვრებას.

ასევე მკითხველს სისტემატიურად მიეწოდება საქართველოს მწერალთა კავშირის პერიოდული ორგანო „მწერლის გაზეთი“, რომელიც შეძლებისდაგვარად ასახავს ჩვენში მიმდინარე სამწერლო და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს.

ამ ორი გაზეთის არსებობა მკითხველს კარგად მოეხსენება.

მაგრამ ფართო მკითხველმა არ იცის, რომ საქართველოში მესამე „ლიტერატურული“ ორგანოც არსებობს. ამ ორგანოს „ლიტერატურული გაზეთი“ ჰქვია.

სიტყვა „არსებობს“ ამ გაზეთთან მიმართებაში სრულიად უადგილოა, რადგანაც იგი სინამდვილეში არ არსებობს, ანუ მკვდრადშობილი გაზეთია. იბეჭდება მიზერული ტირაჟით და თავისი სრულიად უგერგილო, უგემური, უფერული იერსახის გამო კვირის ბოლოს თითქმის სრულიად გაუსაღებელი უკანვე ბარდება რედაქციას სამაკულატუროდ.

ჩვენში სამწერლო გაზეთის ფუნქცია ოდენ ის როდია, ამოჩემებულ მწერალთა ერთი ვიწრო ჯგუფის უნიჭო თხზულებები ბეჭდოს ნომრიდან ნომერში. იგი ჩვენი ბედკრული ქვეყნის ყოველდღიურობას უნდა ეხმიანებოდეს და ერს გადარჩენის სწორ გზას უჩვენებდეს.

თუ გახსოვთ, მეოცე საუკუნის მიმწუხრზე, როცა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავი შეირცხვინა, ერთადერთი „ლიტერატურული საქართველო“ იყო, ხმალამოღებული რომ იბრძოდა ქვეყნის გასაღვიძებლად და ვერ დააჩოქეს, ვერ გააჩუმეს.

საქართველო დღესაც ორ ცეცხლზე იწვის.

გარეშე და შინაური მტრები ქვეყანას მოუსავლეთისკენ ერეკებიან. საქართველოს ერთი მესამედი ოკუპირებულია და რაც ოკუპაციას გადაურჩა, ეკონომიკურ-მორალურად დეგრადირებული სულს ღაფავს.

ასეთ დროს რა გული გიძლებს შენ „ლიტერატურულო გაზეთო“, რომ შენი ულიმღამო სიცოცხლის მთელს მანძილზე (8 წელზე მეტია), თითქოსდა ქვეყანაში არაფერი ხდებოდეს, ხმა არ ამოგიღია, ერთი საჭირბოროტო საკითხი არ დაგიყენებია, ერთხელაც არ შემოგიკრავს საზოგადო ზარი.

რაო, სამშობლოს ტკივილი მე არ მეხებაო?

ვინ წინამძღოლობს „ლიტერატურულ გაზეთს“?

ხელისუფლების მიერ თავზეხელდასმული, ხელისუფლების სათბურში გამოყვანილი ირაკლი ჯავახაძე, რომელსაც ჭეშმარიტ მწერლობასთან ერთი შეხების წერტილიც არ გააჩნია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პოეტ ვახტანგ ჯავახაძის შვილია).

ბედის ირონიაა, აბა, რა არის, რომ რამდენადაც ნიჭიერი, ეროვნული და სიკეთით აღსავსეა ვახტანგ ჯავახაძე, იმდენად უნიჭო და ჯიუტად უპრინციპოა ირაკლი ჯავახაძე.

თუმცა ზედა ეშელონებში ძრომიალს გაჩვეული ირაკლი ჯავახაძის „ლიტერატურული გაზეთი“ უხვად ფინანსდება კულტურის სამინისტროს მიერ, მაშინ, როდესაც „ლიტერატურულ საქართველოს“ და „მწერლის გაზეთს“ დაფინანსებაზე უარს ეუბნებიან.

ქვეყნის ბედისადმი გულგრილ გაზეთს ამჯერად ამ წკიპურტს ვაკმარებ, სამომავლოდ მის მიერ გამოქვეყნებული „მარგალიტების“ კონკრეტული შეფასების იმედით.

*რევაზ მიშველაძე*
*რუსთაველის პრემიის ლაურეატი*

## ვინ იძლევა ეროვნულ პრემიას?

რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილებზე არანაკლებ მძიმე დღეში აღმოჩნდებიან სახელმწიფო (ეროვნული) პრემიის კანდიდატები.

პრეზიდენტმა ამ შემთხვევაშიც არანაკლები „სიბრძნე“ და „წინდახედულება“ გამოიჩინა.

აი, ისინი, ვინც კულტურისა და მეცნიერების სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილ ნაშრომებში უტყუარი არბიტრის როლი უნდა შეასრულოს:

ქეთევან ერემაძე (იურისტი - თავმჯდომარე);



ალექსანდრე თევზაძე (მინისტრის მოადგილე);

გიორგი ზვიადაძე (ინოვაციებისა და ტექნიკის სააგენტოს თავმჯდომარე);

გიორგი კვესიტაძე (მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი);

დავით ყოლბაია (ორიენტალისტი);

რომან შაქარაშვილი (ნერვოლოგი);

ვახტანგ ლიჩელი (არქეოლოგი);

გიორგი ღაღანიძე (ეკონომისტი);

თემურ ნანეიშვილი (ბიოლოგი).

კი, მაგრამ თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით, ხომ იკითხავს ეროვნული პრემიის ამ ჟიურის მიერ გაწბილებული მაძიებელი?

ამ სიაში ერთადერთი, ვისაც მეცნიერულ ნაშრომთა შეფასებისას ჭკუა მოეკითხება აკადემიკოსი ოთარ კვესიტაძეა, დანარჩენი?

იქნებ სულ სხვა ნიშნით შეირჩა ეს სახელმწიფო ჟიური და ობიექტური შეფასება აქ არაფერ შუაშია?

იქნებ საპრეზიდენტო კანცელარიას მარტოოდენ თვინიერი, მორჩილი კომისია სჭირდება და არა მაღალკვალიფიციური შემფასებელი?

ნეტავ იმ უჩინარი ჩინოვნიკის სახის დანახვა შეიძლებოდეს, ვინც დაჯდა და თავის პირად მეგობართა სია ჩამოწერა, მერე კი პრეზიდენტს ეს უბადრუკი სია ხელმოსაწერად შეუტანა.

ნუთუ მართლა ჩალითაა დახურული ქვეყანა და გამკითხავი არავინ არის?

*საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრი*

## ვისი სული გსურს?



2016 და 2017 წლებში „მწერლის გაზეთმა“ სამჯერ გამოაქვეყნა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა განცხადება შესახებ იმისა, რომ დანაშაული გახლდათ დიდუბის პანთეონის დახურვა და ეს დანაშაული მერიას დაუყოვნებლივ უნდა გამოესწორებინა.

მაშინდელი მერი დავით ნარმანია ვერ მოერია დიდუბის პანთეონის დახურვისთვის ორ ენერგიულ მებრძოლს: ვიცე-მერს ნინა ხატისკაცს და საკრებულოს თავმჯდომარეს გია ალიბეგაშვილს.

და დიდუბის პანთეონი დღესაც დახურულია.

იქნებ მართლა არ არსებობს პანთეონის გაფართოების საშუალება?

არსებობს და სრულიად უმტკივნეულოც.

პირველი გახლავთ დიდუბის პანთეონის ღობის მოხსნა დიდუბის ეკლესიის მხარეს, მეორე იმ თავისუფალი (ფაქტიურად არასაჭირო) მოედნის ნაწილის შემოერთება, რომელიც პანთეონის დირექტორის კაბინეტის მხარეს მდებარეობს.

ამასობაში დრო ულმობლად გადის და სხვადასხვა სასაფლაოებზე მიმოვფანტეთ ჭეშმარიტად ეროვნული, დიდი მსახიობების გივი ბერიკაშვილის და ლეილა აბაშიძის ცხედრები.

რა ხდება?

ნუთუ ასე ძნელია დიდუბის პანთეონის დახურვის მცდარი დადგენილების გაუქმება და მერიასთან საზოგადო მოღვაწეთა კომპეტენტური კომისიის შექმნა, რომელიც გადაწყვეტს დიდუბის და მთაწმინდის პანთეონებში დასაფლავების და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების პრობლემებს?

სანამ ვიყოთ ამ გაურკვეველ მდგომარეობაში?

ახლა ხომ ნინა ხატისკაცი და გია ალიბეგაშვილი მერიაში აღარ არიან?

ნუ შექმნით იმის ილუზიას, მერიის ჩინოვნიკებო, რომ კახა კალაძემ ყველაფერი თვითონ იცის.

*საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრი*

## ისევ „ნაცმოძრაობა“?!



პროგრესულ ქართველ პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა არაერთგზისი განცხადება იმის შესახებ, რომ კოჰაბიტაცია თავსმოხვეული იყო და საშუალედო სახელმძღვანელო რგოლებში კვლავ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ბოგინობენ, ხელისუფლებამ ყურად არ იღო.

„ქართული ოცნების“ მომხრეთა მიმართ ანგარიშის გასწორება დღესაც გრძელდება.

მრავალთა შორის ერთი მაგალითი:

შარშან ვიცე-მერმა ნინა ხატისკაცმა შექმნა თბილისის მუზეუმთა გაერთიანება და დირექტორად თავისი თანამოაზრე ვინმე ნინო სანადირაძე განამწესა. მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო საქმესთან ნინოს საერთო არაფერი ჰქონდა.

„რეფორმატორი“ ნინო ადგა და მუზეუმთა დამაარსებლები და მოამაგენი ყველანი ხელაღებით გაათავისუფლა (ჯერ ერთი წლით ხელშეკრულება გაუფორმა, მერე კი საერთოდ „მოისროლა“), მოგვიანებით ნინომ კონსპირაციულად, ხელშეკრულებით მიაბრუნა ისინი, ვინც „ნაცმოძრაობის“ მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი.

ასე იძია შური „ნაცმოძრაობამ“ „ქართულ ოცნებაზე“ ქალაქის ერთ პატარა რგოლში.

კახა კალაძე ბუნებრივია ყველაფერს ვერ დაინახავს (მას, როგორ დავუკარგავთ, ისედაც დიდი, უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეები აქვს წამოწყებული), მაგრამ ვეკითხებით ვიცე-მერს, სოფიო ხუნწარიას:

როდემდე უნდა გყავდეთ მანდ თბილისის მუზეუმების უანგარო მესვეურთა მიმართ ანგარიშის გამსწორებელი ვინმე ნინო სანადირაძე?

*საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრი*

## ლიტერატურის ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებლად

29 აპრილს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ბრწყინვალე მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი პოლიგლოტი, სპარსული, თურქული, სომხური, აზერბაიჯანული და ტაჯიკური ენების ჩინებული მცოდნე ზეზვა მედულაშვილი.

ვინაიდან დიდუბის პანთეონი მწერალთმოძულე ხელისუფლებას და ქალაქის მერიას ჯერ კიდევ დაკეტილი აქვს ზეზვა მედულაშვილი დავკრძალეთ 3 მაისს კახეთში, სოფელ არაშენდაში.

*რევაზ მიშველაძე*



## ვანო ჩხიკვაძე

### აპრილი

ფრთხილად კვიცივით რბენით
მოღლილო,
აპრილო, თეთრად გადაპენტილო,
რიყეზე რომ არ წაიფორხილო,
მუხლისთავები რომ არ გეტკინოს.

ვიდრე სიყვარულს თავგზას აუბნევ
და ძველებურად კვლავ შემეჩვევი,
დაგექორფლება მკერდი ალუბლის
ჩამოფიფქული ფურცლის შხეფებით.

ვიდრე გაახელს თვალებს ღიღილო
და დამიამებ ზამთრის ნაწოლებს,
კვლავ ძველებურად შემომჭიხვინე,
შემისვი ზურგზე და გამაქროლე.

მოდი, აპრილო, ფერთა ფრიალით,
ჩემს სამშობლოშიც უნდა ილოცო,
შეყვარებული მოგდევს ნიავი,
ნაფეხურები რომ დაგიკოცნოს.

### დაჩეხილი ლექსი

ეს ჩემი ხვედრია -
განმიდგა თემიდა.
ჯალათო, შევცოდე, ჯალათო,
შემინდე.
ჯალათო, მაპატიე,
თუ ჩემმა კისერმა,
რომელსაც ვერაფრით აჰყარეს
ღირსება,
ურჩმა და ჯიუტმა,
ახლაც ვერ ივარგა -
წუხელ ალესილი ცული დაგიბლაგვა.
უნდა მოუფრთხილდე მაგ ნაჯახს,
ძმობილო,
სიპი სალესავით ეფერო, ვინძლო,
რა ვიცით, ოდესმე,
ე, მაგის სიბასრე
ეგებ საკუთარმა კისერმაც იგრძნოს.
გიცდის გასამრჯელო,
მორჩი, მოისვენონ
წიხლით დალეწილმა ნეკნებმა.
რა მოხდა, იმ ფულით შეძენილ
სალაფავს
უცოდველი სისხლის გემო თუ ექნება.
ყოჩაღად, ჯალათო,
დაჰკარი!
გახსოვდეს,
ხელობით ოჯახი შენც უნდა არჩინო,
მოსხიპე ნაჯახით თავზემოთ ჰაერი,
სამსახურს დაკარგავ,
სიბრალული რომ შეგამჩნიონ.
ყური არ მიუგდო ზარების „ნაუს"...
ჯალათო,
ჯალათო,
დაუშვი,
დაუ...

***

ვინც არ უნდა ბრძანდებოდე,
გერვასი თუ ბენია -
ბოლო სიტყვა ჩემია,
ბოლო სიტყვა ჩემია.

დაშნითა და რაპირით
სისხლი ბევრჯერ მდენია -
მაინც მინდა გახსოვდეს,
ბოლო ჩხვლეტა ჩემია.

სავარძელს ჩაფრენილო,
უდღეურო გენია,
უნდა მოგისამძიმრო,
მეტი რა დამრჩენია -

ბოლო სიტყვა ჩემია,
ბოლო სიტყვა ჩემია!

***

ჩვენი წუთისოფელი
უფრო დაამოკლეს -
სიხარული ჩაქოლეს,
სიყვარული მოკლეს.

შემოგვაფცქვნეს ქვეყანა
გუდამშიერ ობლებს,
უკვე ველარ არჩევენ
რუსთაველს და პროკლეს.

ალგეთელო ძუმგელო,
ვიღას უზრდი ბოკვრებს -
საქართველო წაშალეს,
საქართველო მოკლეს!

### „ლ"

სასაცილოა,
სასაცილოა,
თან გულსატკენი, ეს ყველაფერი,
„მადლობა უფალს!"
ხალხი „ენდობა"
გალლეტილს,
ბანდიტს,
ბრიყვს და აფერისტს.

ნუ დაიჯერებ, რომ შურმა დაღრღნა
ჩემი გული და ჩემი ძარღვები...
უბრალოდ,
ყველა ოცნება გახმა,
უბრალოდ,
მალე გადავსახლდები.
გადავფრინდები,
წავალ უკვალოდ,
ჩემს სულს ხომ თეთრი მტრედის
ფრთები აქვს,
მე არ ვყოფილვარ, ჩემო უფალო,
ჩემი სიცოცხლე დაგსიზმრებია!

### ქრის რვა

(კლიპი)

ქალი და ნაპირი,
ნაფეხურს სილაზე
კენკავს თოლია და
ტალღებიც იქვეა,
ტერფების ანაბეჭდს -
სევდიან სინაზეს,
ლივლივით კოცნიან,
ქრის რვა.

იმღერე,
უმღერე შორეულ იალქანს,
სიყვარულს, რომელიც
ნისლივით მიაქვს ქარს.

ფურცლები წყლის ქაფის -
გახსნილი ბარათი,
კითხულობ აღსავსეს
ცრემლით და ღალატით...

დაჭრილი აკორდი,
ჰობოის რაპირით...
ქალი და ნაპირი,
ქალი და ნაპირი...

მითხარი, ზღვაც კი რომ
ფეხზე დგას, გიკივის,
აქოჩრილ ტალღების ბისზეა,
მიკროფონს,
ხელებში მომწყვდეულს, ჩიტივით,
რას ეჟღურტულები,
ქრის რვა!

***

რა ვუყო იმ თოვლს
ან იმ ქარ-წვიმებს,
ან ზღაპრულ კოშკებს, ცამდე
აწვდილებს.

რა ვუყოთ-მეთქი ჩავლილ
ჟრუანტელს,
ჩვენი ბავშვობის ლამაზ შუადღეს.

მოდის სიბერე -
სისხლს გწოვს ვამპირი,
სხეულმა სული ისე დალალა -
ასე ბუდიდან გადმოვარდნილი
ძირს დაცემამდე წივის ბახალა.

მაფხიზლებს ცივი წვიმის ეკალი,
მახსენებს ჩემი ძველი ამკლები,
რომ ორპირ ქარში ისევ ცეკვავენ
საკურთხეველთან ის კელაპტრები.

### მოზაიკა

ჩამოდის წვეთი.
წვეთი.
წვეთი.
სხვაზე ნაკლები
ან უფრო მეტი -
ათანას ფეტი.
ათანას ფეტის
იმეორებდი
საყვარელ სტრიქონს...

ეჰ, რა დრო იყო -
სიმღერა გედის.
ჩამოდის წვეთი.
წვეთი.
წვეთი.

თუთიყუშს ფეტვი.
ტელევიზორში
ჭექს ორატორი -
მორიგი ბლეფი.

გახსოვს, ბაღში რომ
ყვაოდნენ ნებით,
ფიფქებს ისხამდნენ
იანვრის ბლები.

ჩათავდა შენი
ბაფთების წლებიც,
თოვლივით გაქრი,
ან უკვე ქრები...

ცრემლი და წვეთი,
ცრემლი და წვეთი,
წვეთი.
წვეთი.

***

რაც იყო, გახსოვს,
რაც მოხდება, ტანჯვით მოელი,
შენი სიცოცხლის შავ-თეთრ ალბომს,
ფერად გარეკანს
შემოახევენ, რადგან ყოველი
ამაოების ყოვლისშემძლე
დელგმამ წალეკა.

იმან გაგძარცვა, ვინც შემოსე,
ვინც შეიცოდე,
ხომ გაგახსენდა, სინანულის
სუნთქვა რომ იგრძნე,
როგორ დაგიდეს ხელისგულზე
მარტივი სიბრძნე -
კახპა დედაკაცს ნუ მიართმევ
ვარდს და სიცოცხლეს.

ჩახედე, უკვე დაცლაზეა
წყეული ჯამი,
გასცდი ოაზისს,
წინ უდაბნო გელის, წყურვილო,
გამთენებელო წუთისოფლის
ხანგრძლივი ღამის,
ჩადიხარ, მზეო, მომლიმარო,
ოქროცურვილო.

წლევანდელი წლის ბოლო დღესაც
ახევ კალენდარს,
ცოტაც და ცაში შუშხუნები
ფერებს გაშლიან.
ილოცე მათთვის, ზამთრის ზარი
ვინც ვერ დარეკა.
ახალ წლის მაცნე,
თეთრი ფიფქი, ვიდრე გზაშია.



## ავთანდილ ყურაშვილი – 75

**75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ სერგოს ძე ყურაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ჩვენო საყვარელო ავთანდილ!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან დიდი ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს.

ამ 75 წელმა ყველას დაანახა, რომ სამშობლოა თქვენი არსებობის ანი და ჰოე, რომ სამშობლოსთვის ცოცხლობთ და თავის დროზე სამშობლოსთვის აღესრულებით, როგორც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

თქვენი დებიუტი მწერლობაში 1961 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, მოთხრობები, რომანი, მხატვრული თარგმანები სისტემატურად იბეჭდება ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „სინათლის ნაპირი“, „გამოჩნდა მიწა“, „რკინის ყვავილი“, „მარად და მარად“, „ნობი“, „სიზმარ-ბალადა“, „ხატ-პეპელა“, „აქ, ამ სამოთხეში“, „სიკვდილი სინათლეა“; შეიყვარა იმიტომ, რომ მართლაც დიდებული პოეტი ბრძანდებით, იმიტომ, რომ თქვენს პოეზიას განუმეორებელი ხიბლი აქვს და საოცარი რიტმულობით, ექსპრესიით, ორიგინალობით, ისტორიული და ბიბლიური თემატიკის გააზრებით, სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტით გამოირჩევა. თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს ხომ დიდზე დიდი სიყვარული შეუძლია, შეუძლია მთელი ცხოვრება ვარსკვლავების რქანაყარ ტევრში ელოდოს სასურველს და თან თავი იმაზე იმტვრიოს, საყდრის ბჭესთან აშხვართული თეთრი გოგო რატომ წააგავს მაცხოვრის დედას, მგელი რომ მგელია, იმის სატკივარიც გტკივა, ბებერი, დაუძლურებული, შიმშილისაგან აყმუვლებული მგლისა, რომელსაც ერთი სული აქვს გამოფიტული მკერდი ძველებური გამბედაობით შეუშვიროს ავბედით ტყვიას...

ლიტერატურული საზოგადოება დიდი მოწონებით შეხვდა თქვენი ლექსების ციკლს აჭარაზე.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე.

მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევით და ქართველი მკითხველის საკუთრება გახადეთ ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონის, ალექსანდრ ბლოკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ნიკოლაი პერეიასლოვის, ბაგრატ შინქუბას პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

თქვენი პროზა მართლაც რომ საყურადღებო მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში. თქვენი რომანი „ცდომილთა დღესასწაული“, მოთხრობები „მაცოლა“, „დადეშქელიანების ამბავი“, „გიორგი კვაჭკიანი“, „სამოთხის სიგიჟე“, „ნოეს ფრთაფარფატა მტრედი“ და სხვები თანამედროვე ქართული პროზის მიღწევათა რიგს განეკუთვნება. თარგმნილი გაქვთ პროზაული ტექსტები — ვლადიმერ უსპენსკის „ბელადის საიდუმლო მრჩეველი“, ელვირა გორიუხინას „ნუ დაგვაშორებ ჩვენ, ღმერთო, ნუ დაგვაშორებ“, ივან პერევერზინის „მდინარე ლენის სანაპიროებზე“, მარინა პერეიასლოვას მოთხრობები...

საყურადღებო ესსეები მიუძღვენით ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ოტია იოსელიანის, გურამ ფანჯიკიძის, ჯანსუღ ღვინჯილიას, გიორგი კაპანაძის შემოქმედებას.

სადაც კი გიმუშავიათ, ყველგან კვალი ნათელი დატოვეთ, როგორც სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეულმა ჭეშმარიტმა პროფესიონალმა. განსაკუთრებული ღვაწლი დასდეთ ჟურნალ „განთიადის“ წინსვლასა და განვითარებას. იყავით ამ ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი და რედაქტორის მოადგილე. 1992 წლიდან დღემდე „განთიადის“ მთავარი რედაქტორი ხართ და სწორედ თქვენი დიდი დამსახურებაცაა, რომ ეს ყველასთვის საყვარელი ჟურნალი არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსს ატარებს...

თქვენს მეგობრებს კარგად გვახსოვს, რა თავგანწირვით ჩაერთეთ ეროვნულ მოძრაობაში და რა ბედნიერი იყავით, როცა თქვენმა ქედუხრელობამ და შემართებამ ნაყოფი გამოიღო — საქართველო დამოუკიდებელი გახდა.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის (3), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძისა და ოთარ ჭილაძის სახელობის პრემიები.

ბატონო ავთანდილ!

კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს თმაშევერცხლილ შემოქმედს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

### ძვირფასო ავთანდილ!

შენი 75 საიუბილეო წლისთავი ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახელოვანი მწერალი და ერის ჭირისუფალი ხარ. მეორეც იმიტომ, რომ ჩვენი თაობის სიამაყე ხარ. ჩვენი რაზმის წინამძღოლთაგანი და მედროშე.

სამაგალითოა შენი რუდუნება მშობლიური მწერლობის წინსვლისათვის. შენი გემოვნების კამერტონზე ვაწყობთ და ვრანდავთ შენი თანამებრძოლები ჩვენს ახალ-ახალ სტრიქონებს. ვინ-ვინ და შენ, ლიტერატურული პერიოდიკის ცენტრში მდგარმა კაცმა კარგად იცი, რას ნიშნავს საკუთარი შემოქმედებისთვის წართმეული დროის ხარჯზე სხვათა ნაწერების სწორება, კორექტურის კითხვა და ჟურნალის ფურცლებზე მათი დაბინავება. ამ მიმართულებით მართლაც რომ შეწირული და შეუცვლელი კაცი ხარ. იცის ქვეყანამ შენი ზღვარდაუდები სიკეთე და მოქალაქეობრივი თავმდაბლობა. შენ ჩვენი სამეგობროს თავკაცი და ბეჭის დამჭრელი ყოველთვის ვაჟკაცურად ცდილობ, ვაჟასი არ იყოს, სხვისი იუბნო სახელი და თავის გარჯასა მალავდე. თუ ჩვენი ამქვეყნად ცხოვრება მაინც წამიერია და ჩვენს მოქალაქეობრივ ღირსებებზე მომავალში მხოლოდ ჩვენი ნაცნობ-ახლობლები ილაპარაკებენ, სამაგიეროდ, მთელი დარწმუნებით ვამბობ, რომ საუკუნეებს შერჩება შენი უანგარო სიყვარული მამულისადმი და მისი თავისუფლებისათვის თანმიმდევრული ბრძოლა ასე ლამაზად რომ ჩაგიგვირისტებია შენს ნაწერებში.

ჩემთვის კი, ერთი ქართველი მწერლისთვის, სამაგიდო წიგნებია შენი ლექსების კრებული „რკინის ყვავილი“ და რომანი „ცდომილთა დღესასწაული“.

*რევაზ მიშველაძე*

### სიტყვის და საქმის ერთგული

ავთანდილ ყურაშვილი თითქმის ნახევარი საუკუნეა ჟურნალ „განთიადში“ მოღვაწეობს: იყო ცნობილი მწერლების - გურამ ფანჯიკიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, რეზო ჭეიშვილის მოადგილე. თითქმის სამი ათეული წელი კი ამ ჟურნალის რედაქტორია და ღირსეულად აგრძელებს ამ უძველესი ქალაქის ლიტერატურულ ტრადიციებს.

ასეთივე ერთგულება და თავდადება ახასიათებს ჩვენს ძვირფას ავთანდილს ქართული მხატვრული სიტყვისადმი, ლექსისა და პროზისადმი. თავისი შემოქმედებით, თავისი მოღვაწეობით მან გზა გაუხსნა არაერთ ახალგაზრდა მწერალს, ხელი შეუწყო თავისი თუ უფროსი თაობების ნაწერების პუბლიკაციასა და პროპაგანდას.

იგი როგორც სიტყვის ოსტატი, რედაქტორი, მოქალაქე მუდამ ინარჩუნებდა პატრიოტულ შეგნებას, არ ერეოდა პოლიტიკურ ინტრიგებსა და ქაოსში და სანიმუშოდ მიიჩნევდა მძიმე წლებში პროფესიისადმი ერთგულებას.

ასეთი რწმენით ზრდის იგი ახალბედა სიტყვის მსახურებს, ასეთი რწმენით აცოცხლებს ჟურნალს.

ღმერთმა კვლავაც მოუმართოს ხელი სიტყვისა და საქმის ერთგულ ავთანდილ ყურაშვილს.

*სოსო სიგუა*

## ავთანდილ ყურაშვილი

### სიზმარ-ბალადა

უუშორეს ვარსკვლავებს
ღამე მდორედ შეათოვს.
სოფლის ბოლოს ხარს კლავენ
და სანთელი კიანთობს.
რიყის ქვების გარშემო
შემოსხდომა ინებეს.
ხარკალიას წყალს ზემოთ
მწვადებს აშიშხინებენ.
ხარკალიას წყალს ზემოთ
თეთრი კოცონია
და ჩემს ტურფა სწორფერს
დევი მოსწოლია.
ვაი, ღამე მომპარეს
სატრფო უმხურვალესი.
დღეს არ, ხვალე მომკლავენ,
ძელგი ღვინით გალეშილს.
ხარკალიას წყალს ზემოთ
თეთრი კოცონია
და ჩემს ტურფა სატრფოს
დევი მოსწოლია.

ვაჰმე, ლარი შემწყდომია,
მშვილდი ველარ მომიზიდავს.
დევო, დევო, შვიდცოლიანს
რად გინდოდა ჩემი ციცა.
გაღმა თეთრი კარვებია,
ყველგან შენი ჯარი არი.
ვინ მიმუხთლა და შეგიხსნა
დერბენდი და დარიალი.
გვიან, როცა თმებს ივარცხნის
მთვარე დახრილ მაყვლის ტოტზე,
მარჯვნივ დევი, დევი მარცხნივ,
უკან დევის ბიჭი მომდევს.
....................
ვაჰმე, ლარი შემწყდომია,
მშვილდი ველარ მომიზიდავს.
დევო, დევო, შვიდცოლიანს
რად გინდოდა ჩემი ციცა.
მოხატული მთვარის ცრემლით
მივიწყებულ საყდრის ბჭესთან
თეთრი გოგო დალალს არხევს.



# ეთერ ზარიძე

### ჯანსუღ ჩარკვიანის ხსოვნას

ბერმუხავ და ლექსის ლომო,
მოსაუბრევ ბრძნული ენით,
საამაყო გვირგვინი ხარ
შენი ჯიშის, შენი გენის.
შენი დიდი პოეზიით,
შენი დიდი აღმაფრენით
უკვდავებად გამობრწყინდა
სახელი და საქმე შენი.

არწივი ხარ თეთნულდიდან
ლაჟვარდებში ანაფრენი...
მზის სხივი ხარ მოელვარე
ქართულ მიწას დანაფენი.
შენი სიტყვით, შენი საქმით
იამაყებს მთელი ერი,
ამღერდება „ლილეო“ და
ტკბილი „მრავალჟამიერი“.

### მშობელი დედა და საქართველო

თითქოს მომავლის იმედებს აწყობ,
შენს გასავლელ გზას ისე გახედე,
გონების თვალით შეხედე აწმყოს,
არ დაემონო ფლიდებს, თავხედებს.
ნუ გადაუხვევ სავალი გზიდან,
იკმარე შენი შრომის ნაყოფი,
არ აამღვრიო მთის წყარო წმინდა,
ვინ დაგამარცხებს მხნეს და კმაყოფილს.
ისწავლე აზრის დათავთავება,
მამულ-დედულის ძველი მითები
და შეისწავლე საფუძვლიანად
დაულაშქრავი ლაბირინთები.
არავის მისცე იმის უფლება,
შენი სამშობლო ფეხით გათელოს,
ორი რამეა ქვეყნად მთავარი -
მშობელი დედა და საქართველო.

***

კვლავ სამშობლოზე დარდობს
სევდის მთოვარი სული,
მწარე საფიქრალს მანდობს
შორს მთები დანისლული.
გულში კვლავ მწარე სევდა,
ნაღველთან მარტო ვრჩები,
აწმყოს ფიქრი და ელდა,
სამგლოვიარო ხმები.
გადაქუფრულა ზეცა,
ამინდი აღარ დარობს,
წინაპართ ნასახლარზე
უცხო გვარ-ტომი ხარობს.

### ისევ დაიზრდებიან

მოქუფრულია სამშობლოს ზეცა,
გვიახლოვდება ბნელი დაისი,
დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში
ტკბილი სიმღერა აღარ გაისმის.
ყველგან ცრემლი და ხალხის გოდება,
აღარ იგრძნობა ძველი ხალისი
და უსამშობლოდ დარჩენილ ხიზნებს
გვიახლოვდება მარცხი კრწანისის.
მაგრამ ეს მარცხი დროებითია,
ამას მკარნახობს გული მისანი,
მჯერა, რომ ისევ დაიზრდებიან
მგლების ლეკვები ალგეთისანი.

### გამოიღვიძე, ქართველო!

სხვების მონებად დარჩენას
სიკვდილი გვიჯობს ასწილად,
რომ სამუდამოდ გადვიქცეთ
მშობელი მიწის ნაწილად.

გამოიღვიძე, ქართველო!
ხელი ხმალს იკარ! თუ არა,
მტერმა წინაპართ საფლავებს
ზედ გულზე გადაუარა.

რამ დაგაჩლუნგა, რა მოგდის?
რამ დაგიბინდა გონება?
უფალს არ გავუჩენივართ
მტრების ყმებად და მონებად.

ქართველს არასდროს სჩვევია
შიში და ძრწოლა ქალური,
ხომ ხედავ, მტერმა წაგვართვა
სახლი და ადგილ-მამული.

გმირ წინაპართა მოდგმის ხარ,
მტერს შეაგებე მახვილი!
ყველამ გაიგოს ქართული,
გმირული გულის ძახილი.

---

*ცნობილ არქიტექტორ-რესტავრატორს ბატონ ტარიელ კიპაროიძეს 70 წელი შეუსრულდა. იუბილარის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნარიყალას ანსამბლის რესტავრაციას, რომლის მიმდინარეობასაც მრავალი წელია არქიტქტორთა კავშირთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს მწერალთა კავშირი.*

*წლეულს წარმატებით დასრულდა ნარიყალას ანსამბლის დიდი სარესტავრაციო სამუშაოების პირველი ეტაპი.*

*გულითადად ვულოცავთ ჩვენს ხუროთმოძღვარს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ წარმატებებს.*

### ჩვენი ხუროთმოძღვარი

„მაღალსა ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდისა ნიკოლოზისა“ — წერდა ვახუშტი ბატონიშვილი, ღვთივკურთხეული ბაგრატიონების ერთ-ერთი უღირსეულესი წარმომადგენელი თავის ფასდაუდებელ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ეს „მაღალი ციხე“, ჩვენი დედა-ციხე, ასწლეულების განმავლობაში უძლებდა ხაზარებისა და არაბების, მონღოლებისა და თურქ-სელჯუკების, ირანელთა და ოსმალთა გამუდმებულ შემოსევებს; მისი ჯვარცმული ქვეყნის ალიკვალი იყო, იქცეოდა და კვლავ ფეხზე დგებოდა, იწვოდა და ფენიქსივით ჩაფერფლილი ისევ იბრუნებდა ძალასა და ენერგიას, რათა ახალი შემოტევისთვის, ახალი წამებისთვის, ახალი იავარქმნისთვის გაეძლო.

დედა-ციხე დიდხანს ელოდა მხსნელსა და პატრონს, ელოდა მის უმშვენიერეს ტაძართან ერთად, რომელიც განგებასა თუ ბედისწერას მიწასთან ისე გაესწორებინა, რომ მისი ნაკვალევიც არ ჩანდა...

არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი და რელიკვიად ქცეული მისი ნანგრევები იმთავითვე მოექცა ხელოვნებათმცოდნეთა თვალთახედვის არეში და პროფესორმა ლევან რჩეულიშვილმა დაავალა მის სტუდენტებს ირინა ელიზბარაშვილს, დიმიტრი თუმანიშვილსა და ტარიელ კიპაროიძეს წმინდა ნიკოლოზის ტაძრის არქიტექტურის შესწავლა. ტაძრისადმი მიძღვნილმა ახალგაზრდების ნაშრომმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე.

ჩვენ ამ ჯგუფის ერთ წევრზე ტარიელ კიპაროიძეზე უნდა გესაუბროთ, ღირსეულ პიროვნებაზე და ერისკაცზე...

სწორედ ნარიყალაზე, სადაც ჩვენც მეგობრებთან ერთად ვმონაწილეობდით ტაძრის აღდგენაზე, გავიცანით ბატონი ტარიელი გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცა; ის ქართველი მწერლების ჭეშმარიტი მეგობარიცაა და ჩვენ ამით ვამაყობთ...

არსთაგამრიგემ ინება, რომ სწორედ ტარიელ კიპაროიძე გამხდარიყო ჩვენი დედაციხისა და მისი ტაძრის ახალი სიცოცხლის სულისჩამდგმელი, ის ხუროთმოძღვარი, რომელიც საქართველოსა და ქართველობას დაუბრუნებდა მისი ისტორიის, მისი სულის უმნიშვნელოვანეს ნაწილს და კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაუმტკიცებდა ყველას, რომ დედაციხესაც სულიერივით შეეძლო კვლავაც ფეხზე დადგომა და, სიცოცხლის გაგრძელება. და, მართლაც, წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, დედაციხე დღეს თბილისის სიმბოლოდაა ქცეული...

ტარიელ კიპაროიძეს, არქიტექტორ--რესტავრატორს, მანამდე საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი გზა ჰქონდა გავლილი. მას სიყვარულით და რუდუნებით უმუშავია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარზე, შიომღვიმის კომპლექსზე, ნაბახტევის ეკლესიაზე, ხაშურის კოშკზე, იტრიის ეკლესიაზე, სურამის ციხის კომპლექსზე და ყველგან საკუთარი ტვიფარი, საკუთარი სულის ნაწილი დაუტოვებია... შეიძლება ითქვას, რომ დედაციხის რესტავრაციის საშვილიშვილო საქმეს იგი შემოქმედებითი სიმწიფის ჟამს შეეჭიდა და დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მან ამით თავისი ბიოგრაფიის ერთი ბრწყინვალე ფურცელი გადაფურცლა...

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დიდ და რთულ გზაზე არაერთი წინააღმდეგობა, მათ შორის კურიოზულიც კი, დახვდა; წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აღდგენა-რესტავრაციას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ტაძრის არსებული სახით კონსერვაციას.

სიმართლემ და ჭეშმარიტებამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა და ტაძრის რესტავრაციის პროექტი დამტკიცდა... რომელსაც მხარს უჭერდა ცნობილი არქიტექტორი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ლერი მეძმარიაშვილი, დამტკიცდა ის პროექტი, რომელსაც წლების განმავლობაში ელაციცებოდა ბატონო ტარიელი.

პროექტი პროექტად და მის განხორციელებას დიდძალი სახსარი და მუშახელი სჭირდებოდა. ამ საქმეშიც არ მიატოვა მარტო არსთაგამრიგემ და საშველად ენთუზიასტების, შეიძლება ითქვას, შეფიცული ძმების დიდი ჯგუფი მოუვლინა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1971 წლის კურსდამთავრებულთა სახით, რომელთა სათავეშიც რომან გვენცაძე იდგა, გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე; როგორც თავად ბატონი ტარიელი იხსენებს, ერთ, მართლაც რომ მშვენიერ დღეს, დედაციხეზე ასულს რომან გვენცაძე დახვდა და აღუთქვა მუშა-ხელით დახმარება ამ საშვილიშვილო საქმეში...

ასე დაიწყო ჩვენი დედაციხისა და წმინდა ნიკოლოზის ტაძრის შენება-რესტავრაცია. ენთუზიასტთა ის ჯგუფი მალე დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებად ჩამოყალიბდა და მას სათავეში ჩაუდგა ყველასათვის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გურამ ფანჯიკიძე. ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის და პროფესიის წარმომადგენლები მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, მუშები...

ასეთ გუნდთან ყოფნა, მის ნაწილად ქცევა ამხნევებდა ტარიელ კიპაროიძეს, ისიც ათმაგი ენერგიით ეჭიდებოდა საქმეს და მასში საკუთარი სულის ნაწილს დებდა. თავადაც ზურგით აჰქონდა უმშვენიერესი გამოთლილი ბოლნისის ტუფის ქვები, რომლებსაც მათთვის განკუთვნილ ადგილას ის-



ეთი სიყვარულით ათავსებდა, გეგონებოდათ თითოეულ მათგანს სულს უდგამსო...

ასეთ შრომას, ასეთ გარჯას არ შეიძლებოდა თავისი ნაყოფი არ გამოეღო და 1997 წლის გაზაფხულზე საზეიმოდ გაიხსნა დედაციხის კომპლექსი და მისი მშვენება – წმინდა ნიკოლოზის ტაძარი. კურთხევიდან სულ მალე ძველი თბილისის სამკაულად აღმართული ეს დიდებული ტაძარი საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა წლის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარა.

დიახ, დღეს ეს ტაძარი ისევე ზემოქმედებს ძველი თბილისის ხუროთმოძღვრულ და ლანდშაფტურ-სივრცობრივ გარემოცვაზე, ისევეა ამ სივრცის მაორგანიზებელი და განუყოფელი ნაწილი, როგორც ეს XIII საუკუნეში იყო, მისი აგების ჟამს.

ამ დიდი საშვილიშვილო საქმისთვის ჯილის დადგმა თითქოს სრულიად საკმარისია ერთი პიროვნებისთვის, მაგრამ ბატონი ტარიელი მაინც არ ისვენებს, რათა დედაციხე სრულად იქნეს დაცული. მისი თითოეული კუთხე-კუნჭული პასუხობდეს საქართველოს ისტორიის ამ უმშვენიერესი ძეგლის მოთხოვნებს...

ქვეყნის თავს დატეხილმა ქარბორბალებმა ისიც არ დაინდო და დიდი ხნით სამშობლოდან შორს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გადახვეწა. არც იქ მოისვენა ამ დაუდეგარმა პიროვნებამ. იქ, ცინცინატში ანტიოქიის ეკლესიის განახლებაში მიიღო მონაწილეობა. ააგო საკურთხეველი და მოხატა კიდეც, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მის მიერ აგებული თაღოვანი კანკელი ქართული იერსახისაა, მსუბუქი და ჰაეროვანი. იქაც საკუთარი მხრებით აზიდა ჯვარი მისსავე აგებულ გუმბათზე და ყველას დაანახა ქართველი კაცის ნიჭიერების და გენის შესაძლებლობანი. ესეც არ იკმარა და ქანდაკების ურთულეს ჟანრს შეეჭიდა. ცინცინატში გამართულ მხატვართა და მოქანდაკეთა გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და პირველი პრემიაც დაიმსახურა. ამერიკელები სერიოზულად ალაპარაკდნენ მის ქანდაკებებსა და ნახატებზე...

ამ წერილის ავტორები არც ხუროთმოძღვრები არიან და არც ხელოვნებათმცოდნენი. ერთი რამის თქმა კი დაბეჯითებით შეუძლიათ. ტარიელ კიპაროიძის ნამუშევრები ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც თავად მათი ავტორია, ცნობილი არქიტექტორი და ერისკაცი, ჩვენი სულისა და გულის ნაწილი, რომელსაც სულ ახლახან დაბადების 70 წელი შეუსრულდა და რომელსაც სულ არ ეტყობა ეს საკმაოდ სოლიდური ასაკი. იქნებ ამის მიზეზი ისიცაა, რომ საყვარელ პაპას დაბერების უფლებას არ აძლევენ მისი შვილიშვილები, რომელსაც ტარიელი ჭეშმარიტ ქართველებად ზრდის და სწორედ ასეთი დიდებული ოჯახების არსებობა გვესახება მომავალი საქართველოს საძირკვლად და იმედად...

უფალი ფარავდეთ!

*ბაღათერ არაბული*
*ზაალ ბოტკოველი*



## ნინო ბიჭიკაშვილი

### სხივი სინათლისა

მთებში ასვენია სხივი სინათლისა,
წითლად ღვივის მისი კვალი სიკეთისა..
შენი თბილი მზერა, ტკბილი მომავლისა
შენი სამოსელი მარადისობისა.
როგორ დაგეხმარო, როგორ მოგეშველო,
როგორ ვიზიარო შენი ტკივილები?
როგორ გაიმედო, დარდებს დაგაშორო
როგორ ვიზიარო მრევლის ჩივილები?
სუნთქვას გაგიყოფდი, წუთებს გაჩუქებდი
ჩვენი შეცდომების ცრემლებს შეგიშრობდი,
დროს შევაჩერებდი, მზეს გავაჩერებდი
მარად, საუკუნოდ ჩვენთან დაგტოვებდი.
ფიქრი ოცნებებით როგორ შეგიცვალო?
ლოცვა სიმღერაში როგორ გადავცვალო?
შენი ნაკვალევი როგორ დავინახო?
მიწა ანგელოზად როგორ შევიცვალო?
დახმარების ნაცვლად მძიმე აღსარება
აღმართში მიმავალს მხრებზე ჩამოგკიდე,
ჩემი ბილიკების შავი ზამბახები
სასუფევლის გზაზე ნოხად გადმოვფინე.
გული გატკინე და სიტყვებით ჩაგიქრე
სულში დანთებული წმინდა კელაპტრები,
ვარდი დავთვალე და ეკალს ვეამბორე,
ცოდვის მუქ ჭაობებს დღესაც ვენატრები,
შენთან მოსვლა დღესაც ჩემთვის სირცხვილია,
შენი შემოხედვა ჩემთვის ტკივილია,
შენი მშვიდი სიტყვა ჩემთვის ტირილია,
შენი თბილი ხელი უფლის ღიმილია,
შენთან აყვავილდა ჩემი აღსარება,
შენთან დაფრთიანდა ჩემი სინანული,
შენ ხარ ამ ზამთარში ჩემი ცისარტყელა,
შენ ხარ ამ ავდარში ჩემი გაზაფხული
და ხარ ხანძთელი სხვა სხეულის, სხვა
საუკუნის
მე კი ნუკრი ვარ შენს კალთებს ქვეშ
შემოფარული
შენი გვირგვინი ჩემთვისაა შარავანდედი,
გალობა შენი სიყვარული შემოპარული...
შენს გოლგოთასთან მე ვდგავარ, როგორც
ლოტოსის ცოლი
შენი ჭაღარა ითვლის ყველა ცოდვილის
ბოდვას,
მე ხომ დავტოვე ბეწვის ხიდზე უღირსი
კვალი
და ხელგაწვდილი შენს სარკმელთან
ვითხოვ წყალობას...

### რას არ ვაპირებ...

მე არ ვაპირებ შევცვალო ჩემი ლექსების რითმი,
მე არვაპირებ შევცვალო ჩემი სიტყვების გროვა,
მე არ ვაპირებ შევცვალო ჩემი სიცოცხლის სტილი,
მე არ ვაპირებ შევცვალო ჩემი ფიქრების თოვა...
მე არ ვაპირებ დავბადო ჩემში უცნობი პირი
რომელიც სხვაფრად დამანახებს ბორბალის
ბრუნვას,
მე არ ვაპირებ დავხატო ჩემში შავთეთრი ღილი,
რომელიც ჩემში აფერმკრთალებს ნათელზე
ზრუნვას...
მე არ ვაპირებ შევცვალო ჩემი სამშობლოს ჰიმნი
და გობელენი შევუცვალო კურთხეულ დროშას,
მე არ ვაპირებ მივატოვო ტაძარი, თბილი
და სული ჩემი შევუთავსო სამყაროს მოკვდავს...
მე არ ვაპირებ შევცვალო ჩემი ძველი დარდები,
მე ნოსტალგიაც ისევე მატკბობს, როგორც
ვარდები.
მე არ ვაპირებ დავითვალო ბოლო წამები,
უფსკრულის თავზე ვქანაობ და განა ვვარდები?
მე არ ვაპირებ განვიკითხო სხვისი ცოდვები,
ცოდვაში თვითონ ჩაგვაყენებს ჩვენი ბოდვები...
მე არ ვაპირებ ვიმეორო სხვისი ლოცვები,
შენც ქართველი ხარ და ტაძარში შენც ილოცები...
მე არ ვაპირებ შევიცვალო ოდესმე ბუდე,
მამული ჩემი, რომელიც ჩემში ჩემსავით
სუნთქავს...
მე არ ვაპირებ შევიცვალო ხატების კუთხე,
რომლის წინაშეც დამნაშავის ვლაღადებ
ლოცვას...
მე არ ვაპირებ გამოვცვალო ჩემი სიცოცხლე
ის სუსხიანი ქარიშხალი შენი სურნელით...
მე არ ვაპირებ გამოგცვალო, ჩემო სიცოცხლევ
იქნებ გათენდეს ალიონი ბრმების კურნებით...

### ივერია გაბრწყინდება

ნისლად ჩამოეშვა ფარდა,
ფიფქად შეგატოვა თმაში,
ფერი იცვალაო დარდმა,
ვერცხლად შეგეპარა თმაში.
მიფრთიანდებოდა სევდა,
მარტო რომ იყავი მაშინ...
ფიქრად მიდნებოდა სევდა,
ვარდებს გიტოვებდი გზაში.
შენი უმწეობა მღლიდა,
ხატად დაგეძებდი ცაში,
შენი გაზაფხული მინდა,
მრავალჟამიერი ხმაში...
იქნებ სულაც არ გყავს არვინ,
ვიღას იმედი გაქვს მაშინ?
ვახტანგს, ერეკლეს და დავითს
ყვავნი დასჩხავიან გზაში...
გზაზე ვის გაჰყურებ ნეტა?
ლოცვას მეტანია შვენის...
შენს ნაიარევ მუხლებს
ძველი ცხოვრებისა - შველის.
მუხლმოდრეკილია ნინო...
სულში ქარიშხალი ქროდა,
და კათაკმევლების თავზე,
ბედად ცისარტყელა კრთოდა...
სხივად ჩამოეშვა ფარდა,
მამალმაც იყივლა ბარში,
ფერი ეცვალაო კვერცხებს,
გამოგიზაფხულდა თმაში...



### მწერალი და მოქალაქე

მწერალს, ვგონებ, ასაკი არ აქვს, დაბადება და გარდაცვალება, ან თუნდაც საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, მხოლოდ მინიშნებაა ეპოქაზე, რომელშიც იგი ცხოვრობდა... ასე ეკუთვნის აწ უკვე მარადისობაში გადასულს, მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორს, არაერთი თაობის აღმზრდელს, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ყოფილ თანამშრომელს, გიორგი ავალიანს (1930-2017) მისი განვლილი ცხოვრების, მწერლობაში მამულიშვილური ღვაწლის აღსანიშნავად ეს წერილი მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორს, არაერთი თაობის აღმზრდელს, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ყოფილ თანამშრომელს, გიორგი ავალიანს (1930-2017) მისი განვლილი ცხოვრების, მწერლობაში მამულიშვილური ღვაწლის აღსანიშნავად ეს წერილი, რომელიც უფრო გახსენებაა, ვიდრე ნეკროლოგი, უფრო მისი წვლილის რეტროსპექციაა, ვიდრე ბიოგრაფიული მომენტების აღნუსხვა...

უცნაური იყო ბატონი გიორგის ბედისწერა, სვანეთში დაბადებულ, დავაჟკაცებულს მთელი ცხოვრების გატარება ქართლში მოუხდა, ქალაქ გორში, სულ სხვა სამსახურებრივ მოვალეობით დატვირთულს, ვიდრე მის პოეტურ სულს შეესაბამებოდა...

„ბალსზემოურიც ვიცი და ბალსქვემოურიც“ - არაერთხელ უთქვამს ბატონ გიორგის, სვანურზე საუბრისას. ყოფას და წარსულთან კავშირს ისე უხამებდა ერთიმეორეს, ისეთი სიყვარულით იხსენებდა მშობლიურ კუთხეს, ზვიად, თოვლიან მთებს, ამაყ, ძლიერ მცხოვრებლებს. სვანური გული ჰქონდა, პირდაპირი, იქნებ მკაცრიც, მაგრამ მის იქით რაინდის სული იმალებოდა, სათუთი და მიმტევებელი...

დაიბადა გიორგი ავალიანი 1930 წლის 10 მაისს, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს სამეურნეო ნაწილის გამგედ და მასწავლებლად. შემდგომ სამხედრო სამსახურს იხდიდა, საოფიცრო სკოლაც დაამთავრა. ასე მოხვდა იგი ჯერ საქართველოს სხვადასხვა კომისარიატებში, საბოლოოდ კი გორში დამკვიდრდა. პარალელურად უმაღლესი განათლებაც მიიღო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1969 წელს კი თავისი დიდი ხნის ოცნებაც აისრულა, დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა ჯერ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1972 წლიდან კი გორში, ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიას. 1980 წელს მეორე დისერტაციაც დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა, რასაც პროფესორის წოდების მინიჭებაც მოჰყვა. 1980-2007 წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ, სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და მედლებით, 1980 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია 32 წიგნის ავტორი, პროზაიკოსი, ლიტერატურათმცოდნე...

მისი პირველი წიგნი, მოთხრობების კრებული „შავგენ“ 1971 წელს დასტამბა გამომცემლობა „მერანმა“, ამას „მოქშპენის“ I და II ტომები მოჰყვა (1983-1987 წლებში), „ბუბა ქაქუჩელა“ (1993 წ. ), „მდევარი ბედი“, „ცხოვრების ჯარა“, „ურჩი ზვარაკი“, „მოთხრობები სულით რაინდებზე“, „ბილიკი მოლიპული და ეკლიანი“, „სნაიპერების მეთაური“, „რქაფიწალა“.

„გარითმული ფიქრებიც“ გამოსცა (ლექსების კრებული) 1997 წელს, საბავშვო მოთხრობები „ბებერი მაჩვის ტყე“ და სხვ.

არაერთი წერილის ავტორია მშობლიურ სვანეთზე („ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, „სვანეთი მრუდე სარკეში“, „ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი“ და სხვ. ).

50-ზე მეტჯერ ექნებოდა წაკითხული შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, ის იყო მისი სამაგიდო წიგნი, ამიტომ წერილების სერია მიუძღვნა შოთას დიდებულ ქმნილებას, 2009 წელს კი მისი „ლიტერატურათმცოდნეობითი წერილები“ გამოიცა.

არაერთგზის შეხებია საბრძოლო თანამეგობრობას, ქვეყნის დამცველებს, თითოეული სიყვარულით იყო გამსჭვალული მეგობრებისადმი...

მაგრამ მწერლის ღირსებანი კიდევ სხვაა. ჯერ კიდევ მეოთხე კლასის მოსწავლემ „სვანური პოეზიის“ კრებულში წაიკითხა ლექსი „კონსტანტინე დადეშქელიანი“. ამდროიდან აწუხებდა მისი ბედი, ამიტომ დაიწყო ზეპირი გადმოცემების მასალებზე მუშაობა, ბოსოზდენის, ბესარიონ ნიჟარაძის, გერონტი გასვიანის შრომებმაც გაუწია დახმარება. ასე დაიბადა წიგნი „მოქიშპენი“. სათაურით მწერალმა აჩვენა, რა „დამღუპველიცაა ყველგან და ყოველთვის სიძულვილი, მასზე დაფუძნებული ქიშპობა-მტრობა“.

უცნაურად ლამაზია მწერლის სტილი- თეთნულდის აღწერა ბევრ პოეტურ ქმნილებაშია გადმოცემული, მაგრამ გიორგი ავალიანმა, მას კვლავ სხვა შტრიხი შეჰმატა: „თეთნულდი თეთრად თვლემდა. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი ყინულის მახათა წვეტზე აფრინდა და უსასრულობაში ჩაიკარგა. მანამდე ოქროსფრად მოვარაყებულმა ლუჯირამ („ასე ეძახიან თეთნულდს ადგილობრივი სოფლის მცხოვრებნი“) მაშინვე ფერი იცვალა. ყელყელა მზეთუნახავი ახლა რძისფერ კაბაში ეჩვენა თავის მარადიულ დოსტს გრანიტის რქებიან უშბას, მუდამ რაღაცით უკმაყოფილო, ეჭვიანი მიჯნურივით გამწყრალი რომ მოსჩერებია გულის ქედს გაღმიდან“.

ხალხში გავრცელებული სიმღერის „ბუბა ქაქეჩელას“ გადმოცემის ფონზე ააგო ავტორმა თავისი მეორე რომანი. ქალი, მისი ღირსების დაცვა, ვაჟკაცობა-რაინდობა წითელ ხაზად მიჰყვება რომანს. მწერლის მანერა აქაც ძალიან სადაა, პირდაპირი, სამართლიანი და მიზანმიმართული.

„სიტყვის ტრფიალი“ მოჩანს გიორგი ავალიანის თითოეულ მხატვრულ ფრაზაში. სვანეთის სინამდვილე წარსულსა და აწმყოში საფანლად დაუდო ავტორმა ორივე რომანს...

წიგნის კითხვისას, საყვარელი წიგნის კითხვისას გარდასულა გიორგი ავალიანი მარადისობაში...

სასუფეველი დაემკვიდროს...

*თამილა გოგოლაძე*

# როცა ლექსი სუნთქავს...

## მერაბ გეგია

საქართველო რომ მგოსანთა მხარეა, ამაზე არ დავობენ. რა ქართველია ის ქართველი, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც არ „წასცდა“ ხელი ლექსის შესათხზავად. მაგრამ მათ შორის ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, ვისთვისაც ლექსი სულის მალამოა, გულის მაოხებელი წყარო, საკუთარი თავის გამოხატვის სივრცე და, რაც მთავარია, წარსულისა თუ აწმყოს ცოცხალი მოწმე.

სულის სწორედ ასეთ გადაულახავ მისწრაფებად გამოსჩანს სერგი კაკალაშვილის პოეტური შემართება. „პოეზია“ – ასე ლაკონურად დაასათაურა მან თავისი ლექსების ახალი კრებული, რომელშიც ნათლად არის ასახული პიროვნებისა და მოქალაქის სულიერი ვნებანი, პირადი განცდები, ლექსად ქცეული ფიქრი თუ განსჯა. სწორედ ამიტომ, მის ლირიკას ახლავს თემატური მრავალფეროვნება, ინტონაციათა სახესხვაობა, გამოხატვის ნაირსახეობა, რაც ქმნის კიდეც ფართო პოეტურ პალიტრას.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსების უმრავლესობა თემატური სინთეზია, მაინც შესაძლებელია მათი დიფერენცირება, რაც გვიადვილებს ჩავწვდეთ მათ მნიშვნელობას თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

დავიწყოთ პატრიოტული ლირიკით:

თუკი ვინმე მძულს – მძულს ტანჯვით, ძნელად,
თუ ვინმე მიყვარს – მიყვარს უზადოდ!
ადამის მოდგმავ, მიყვარხართ ყველა,
ერთს გთხოვ, ქართლს მტერი არ გაუზარდო!
( „პარადოქსი“)

პატრიოტულ განცდასთან ერთად აქ გამოსჭვივის ადამის მოდგმის მიმართ უპირობოდ ჰუმანისტური დამოკიდებულება.

ან კიდევ:

ერის დიდი გლოვაც, როგორც განაჩენი,
სულში ჩამეყინა ბედის ირონიად,
ახლა სულ ერთია ყველა დანარჩენი,
ახლა თვითმკვლელობაც ძალზე იოლია.
( „ბედის განაჩენი“)

აქ, სრულიად სამართლიანად, ერისა და პირადი ცხოვრების პრობლემატიკა გაიგივებულია.

ჩემი ცხოვრება სანთელია ჩემი საფლავის –
გულს დამეფინოს ალმოდებულ ვარდების ფარდად
და
თითქოს შვილი დამრჩენოდეს მოუნათლავი,
ისე ჩამყვება შენი დარდი საფლავში დარდად!
(„როდესაც წავალ“)

მხოლოდ მოქალაქეობრივი მრწამსის ურყევობას ძალუძს სამშობლოს შვილთან გაიგივება. მაგრამ არსებობს კი რაიმე, რაც სამშობლოსთან არ იგივდება?

ზაფხულის წვიმა მიყვარს შხაპუნა
და ცისარტყელის მიყვარს ოცნება,
კავკასიონს რომ მამაპაპურად
შვიდფერ გვირგვინად გადეტყორცნება.
(„რაც მიყვარს“)

აქ პატრიოტული განცდა შერწყმულია კახეთის პეიზაჟთან, ხოლო ასახვის სტილში აშკარად შეიგრძნობა „ცისფერყანწელთა“ კვალი.

ძალიან ხშირად, სერგი კაკალაშვილის პოეზიაში ერთმანეთში ჩაწნულია პატრიოტული და სამოქალაქო ლირიკა. ეს არცაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ ქვეყნის კატაკლიზმებს ახლო წარსულში.

აი, ნიმუშიც:

ძმათაკვლის ზარი ჩამოჰკრავს როცა,
ვერ გაიხსენებთ, ძე ვინ დატოვა? –
სადაც ქართველი ქართველებს ხოცავს,
იქ ნუ დამიცდით!
მე იქ არ მოვალ!
(„ჰოი, ქართველნო!“)

კახეთის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი განცდით არის ასახული ლექსში „შეხე, კახეთი!“:

შეხე, კახეთი!
მშვიდი სახეთი
და ბრძენის შუბლით
რომ გადაშლილა
ველზე ალაზნის!

და შემდეგ, ამავე ზეაღმატებულ სტილში პოეტურად ასახულია ალავერდი, იყალთო, უჯარმა, ნეკრესი, ყვარელი, თელავი. და უნებლიედ გვახსენდება, რა ქარტეხილებს გაუძლო საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესმა მხარემ.

არცთუ იშვიათად, სერგის პატრიოტულ განცდებში გამოსჭვივის საყვედური და თვით პროტესტიც კი არსებული რეალობის მიმართ:

მე რომ ბრმა ვიყო, ვიტირებდი სიბრმავის გამო,
დღეს კი მატირებს თვალხილულსა თქვენი ყურება...
მე რომ ყრუ ვიყო, ვიტირებდი სიყრუის გამო,
დღეს კი მატირებს ყოველივე, რაც მეყურება...
მუნჯი რომ ვიყო, ვიტირებდი სიმუნჯის გამო,
დღეს კი სატირელს მიჩენს ენა და მეტყველება...
(„წერილი ქართველებს ციმბირიდან“)

ან კიდევ:

ირგვლივ სამყარო მძიმე ხედია,
დრო კი, უწყალო, რა სწრაფად მიჰქრის,
და თუ სამშობლო მისახედია,
ხელოვნებაზე ძნელია ფიქრი.
სენტიმენტების დაბრმავდა ია,
სხვა გვეკარნახა ეპოქით ნება...
ოხრად დაგვრჩება მზეც, პოეზიაც,
თუ საქართველო აღარ იქნება.
(„არჩევანი“)

და კიდევ:

თუ არ მომისმენთ – დუმილი მიჯობს,
თუმცაღა მთქმელნიც ხშირად სცდებიან,
მე ვუთანაგრძნობ ყველა უნიჭოს,
ნიჭიერები მეცოდებიან...
ერს გაგვიგრძელდა სირბილი დროშით,
ვზეიმობთ... ზეიმს ვერ ვამჩნევთ მტრისას,
და „გრუზინები“ საქართველოში
წყვეტენ ბედს ბედკრულ ივერიისას.
(„ერსა თუ ბერსა“)

პოეტის პატრიოტული განცდა უშუალოდ გადაჯაჭვულია ქართული ენის ფენომენთან:

მე შევიყვარე ენა ქართული,
დედამ პირველად რომ მითხრა ნანა
და შვიდი ზეცის შვიდი სართული
ამ იავნანამ შემომატარა.

ეს ლექსი ასე მთავრდება:

მე შევიყვარე ენა ქართული,
ვით პოეზიის საწყისიც, ბოლოც...
და ვაზი ვარდზე გადახლართული
შევქმენი როგორც დიდი სიმბოლო.
(„ამბავი ვაზისა და ვარდის სიყვარულისა“)

არცთუ იშვიათად, პატრიოტული თემატიკა გადაიზრდება ხოლმე სამოქალაქო ლირიკაში:

თუ აწმყოს სათქმელი ტკივილი არ ითქვა,
მოვა დრო (თუნდ გვიან), ის მაინც ითქმება...
დღეს უპასუხოდ დარჩენილი ყოველი კითხვა,
ტანჯვად და ცოდვად ხვალ ჩვენს შვილებს
მოეკითხებათ!
(„შეკითხვა, დარჩენილი პასუხის გარეშე“)

სამშობლოსადმი ერთგულების ჰიმნად ჟღერს სიტყვები:

ბევრი ვიტანჯე, ბევრი ვიარე,
მაგრამ ყოველთვის ყველგან მჯეროდა,
რომ პოეზიას იქ ვეზიარე,
სადაც ბულბული ვარდს უმღეროდა.
ტაჯ–მაჰალიდან კანიონამდე
მე სანახავი მინახავს ყველა,
მაგრამ აისით ალიონამდე
უსაქართველოდ სულყველგან ბნელა.
(„საქართველო“)

და კიდევ:

მე ვარ მეხოტბე შენი ენისა,
ჰანგი უტკბესი ლექსს სად ენახა?
თვით წყაროც ჩემი აღმაფრენისა,
სამშობლოვ ჩემო, მხოლოდ შენა ხარ!
(„დიდი და მცირე სამშობლო ჩემი“)

და კვლავ პატრიოტული და სამოქალაქო ლირიკის ნაზავი:

მაგრამ სანამდის წუთისოფლის ფიქრში ჩართული,
ვცოცხლობ, დავდივარ და თვალს
ცრემლი, გულს სისხლი დამდის,
საქართველოში ყოველივე არაქართულის
ვიქნები მტერი, თვით სიცოცხლის ბოლო წუთამდის.
და სანამ ჩემი ბედისწერის ჩამოჰკრავს ზარი,
მე იქ ვიქნები, სად არდგომა არ შემიძლია,
ვიდგები მცირეც, შეუმჩნეველიც, უზარმაზარიც –
ჩემში სამშობლოს სიყვარულმა თვით სიკვდილს სძლია.
(„სანამ დრო მოვა“)

პატრიოტული თემატიკის ერთგვარ შეჯამებად ჟღერს პოეტის სიტყვები:

ვიცი, ბევრი დამძრახავს, არც მოველი გაგებას –
პოეტისთვის ჩაქოლვა დიდი გასამრჯელოა...
შენ ერთს მაინც ხომ გესმის?! – ვევედრები განგებას,
ჩემი აღმსარებლობა – ჩემი საქართველოა!
(„სათქმელი“)

და აი, პატრიოტული, ფილოსოფიური და სამოქალაქო ლირიკის შეჯამებად ჟღერს ლექსი „უვარგისი კაცის ეპიტაფია“:

აქ განისვენებს, ვინც არც ყოფილა,
არც უცინია, არც უოხრია,
ვინც ისე მოკვდა, რომ არც შობილა,
არც უბარია, არც უთოხნია.

და ბოლოს:

არც ღვთისა მგმობი, არც ღვთისმოსავი,
არც მოცეკვავე, არც მცემი ტაშის,
არც დანაკარგი სამშობლოსათვის,
არც შენაძენი ღმერთისთვის ცაში.

დიდაქტიკური ლირიკის ნიმუშია ლექსი „მამის დარიგება“:

კაცს სიკეთეს ნუ დაუთვლი, უფალს – სანთელს, ოქროს – ძმასა,
ბრბოში იყავ ბერი უტყვი, აჰყე–დაჰყე შორით მწყრალსა.
მიწას ჯაფას ნუ მოაკლებ, მშობელს – ლუკმას, ალერსს – ქალსა,
სხვის ნაოფლარს ფეხს ნუ წაკრავ, ცეცხლს ნუ მისცემ სხვისა ძნასა...
დანარჩენსა, თუ ივარგე, ღმერთი მოგცემს ერთიასად.

უაღრესად სახიერი, ვიტყოდი, იმპრესიონისტულია სერგი კაკალაშვილის სატრფიალო ლირიკა:

ნაწვიმარზე ფეხშიშველი
ორღობეში მიდის გოგო...
თუ მიშველის – ის მიშველის!
მიშველის და...
მერე როგორ!
( „ნაწვიმარი ორღობე“)

ცოცხალი სტრიქონებია, ღიმილისა და გულაჩვილების გამომწვევი.

ან კიდევ:

ცერემონია... ჩურჩული მფრთხალი...
სიტყვა სულ სეტყვად, ლექსი სულ დარად...
და ერთადერთი ჭირისუფალი
ქალი ეფინა მგოსანს სუდარად.
(„პოეტი, ქალი და ბრბო“)

ერთი შეხედვით შემზარავი სურათია, მაგრამ სწორედ ეს გამოკვეთს ქალის მნიშვნელობას პოეტის ცხოვრებაში.

სატრფიალო ლირიკის კვლავ იმპრესიონისტული და ამასთანავე, რითმებისა და ალიტერაციის შესანიშნავი ნიმუშია შემდეგი სიტყვები:

ვიცი, ეს ქალი მიაღწევს იმას,
რაც რომ ჩემს თვალებს აალმაცერებს;
ვიცი, ეს ქარი მოიტანს წვიმას,
ვიცი, ეს ქალი მოიტანს ცრემლებს.
(„ქუჩაში მიდის ლამაზი ქალი“)

გადამდები განწყობილებაა, სევდანარევი სიხარულის შემცველი.

მაგრამ აქვე გაიელვებს კვლავ ალიტერაციულ პასაჟში განთავსებული, ზეაწეული განწყობილებაც:

წითელი ვარდები, წითელი ვარდები,
წამების, დარდების იდუმალ მოწმენი,
წამები ლანდების, ლოდინის ფარდები
სარკმელში მომზერნი თრთოლვით და ოცნებით.
(„წითელი ვარდები ცარიელ ოთახში“)

ძალიან ხშირად სატრფიალო ლირიკა შეიცავს დრამატულ სცენებს, პოეტი ერთმანეთს ოსტატურად უთავსებს გრძნობას და პერსონაჟთა მოქმედებას:

გეკითხებოდი: – გცივა?
შენ კი მეკვროდი თრთოლვით,
თმებს გვისველებდა წვიმა,
თმებს გვითეთრებდა თოვლი.
ცრემლი რად დავაბრალეთ
ცვარს, შენს მონაკრებს ველად?
მე გიკოცნიდი თვალებს,
შენ მთხოვდი: – სერგი, ნელა!
(„გახსოვს?“)

თვით სატრფიალო მოტივებიც კი ხშირად შეიცავს პატრიოტულ ქვეტექსტს:

რაა სურნელი უცხო მდელოსი
შენი ღიმილი თუ არ მეღირსა...
ჩემში სულია საქართველოსი,
მე კი სული ვარ იბერიისა!
გიმზერ და... ნეტავ რამ გამახსენა?!
არა, არ ხარობს უმზეოდ ნერგი,
როგორც კლოდ მონე ეკუთვნის სენას,
ისე ალაზანს ეკუთვნის სერგი.
(„RAGILE“)

ვფიქრობ, არაა შემთხვევითი, რომ პოეტმა თავი შეადარა სწორედ იმპრესიონისტ კლოდ მონეს.

ტრფიალის პათოსი ხშირად გაიგივებულიცაა პოეტურ აღმაფრენასთან:

ალბათ გაივლის წელი მრავალი,
ჩვენს ლამაზ წუთებს დრო ვერას უზამს...
შენ სამყაროსთვის ხარ მხოლოდ ქალი,
და მხოლოდ ჩემთვის – ქალი და მუზა!
(„მიყვარხარ ძლიერ!“)

სერგი კაკალაშვილის პოეტურ პალიტრას ამშვენებს ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშებიც. ყოველი მათგანი დატვირთულია ღრმა აზრით, თუმცა კი, არა განყენებულად. აქაც პოეტის სევდა ან წუხილია გამოხატული:

რად არის ასე მოწყობილი წუთისოფელი?! –
ჯერ მოგწამლავენ, მერე წამალს გაწვდიან სიტკბოდ,
და ვილაც მშვიდად წაგჩურჩულებს ალერსით წრფელით:
„Sorry, seems to be the hardest word”.
( „HARDEST WORDS”)




ზოგჯერ მართლაც მონოლოგს მოგვაგონებს მისი ფილოსოფიური ლექსები:

ვინა ვარ?
რა ვარ?
რაა, სვეტად ჩემში რომ რგია?
არა ქიმერა, არც დემონი, არა ფერია,
ჩემი ცხოვრება მარტოსულის მონოლოგია,
მეტაფორაა და მის მეტი არაფერია.
(„ორი მარტოსული უდაბნოსა შინა“)

ან კიდევ:

როცა ჩამოჰკრავს აღსასრულის უილბლო ზარი,
როცა დაჰქროლებს განსვენების უდროო ქარი,
ცაც მამცნობს სიტყვით –
„სერგი, ითქვა შენი ზღაპარი, “
მაშინ კი გეტყვი:
„მე... მივდივარ, ჩემო,
ნახვამდის!“
(„მიყვარხარ... გმადლობ... ნახვამდის!“)

როგორც უკვე აღვნიშნე, ფილოსოფიური განსჯანი აროდეს არის განყენებული, თუმცა კი აშკარად შეიცავს საყოფაცხოვრებო შინაარსს:

დღენი წარსულს რომ დამაშორებენ,
მე თავს ჩავღუნავ და გაგეცლებით...
თვალებს კაცურად გამისწორებენ
ჩემი ცხოვრების განვლილი წლები.
(„FINITA LA COMEDIA“)

აქ პირდაპირი ხიდია გადებული სამოქალაქო თემატიკასთან, თუმცა კი აღიქმება ფილოსოფიური მრწამსიც, რომ ადამიანის ცხოვრებაში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის ღვაწლი, რომელიც დასდო თავის ქვეყანას.

ფილოსოფიური რაკურსით არის დანახული სიყვარულის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში:

ნუ იტყვით, თითქოს ყველაფერი იმღერა, ითქვა,
და თითქოს მასზედ ლაპარაკიც ბევრს ერიდება,
ქვეყნად სიყვარულს, და მხოლოდ მას, თუ ეთქმის სიტყვა,
სიტყვა, რომელშიც ძევს სიცოცხლის ჭეშმარიტება.
(„სიყვარული“)

ფილოსოფიურადაა დანახული ოცნების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში:

ისე გაფრინდა ოცნების რაში,
რომ ვერც კი ვკითხე: – მზეო, რა გქვია?
და დაკარგულის მოძიებაში
მოძიებულიც დამიკარგია.

ეს ოთხკუპლეტიანი ლექსი ასე მთავრდება:

იმ მაშვრალ დღეთა სახე ვარ, ბავშვი,
და ის ბავშვობა ტკბილი ხედია,
შორს გაფრენილა ოცნების რაში,
უკან ერთიც არ მოუხედია.
(„გაფრენილი რაში“)

დრამატულად გათამაშებულია და ამასთანავე ფილოსოფიურია ლექსი „შეხვედრა სიკვდილთან“:

...
– ვის რა ვალი გვაქვს, ტიალო,
რა მოგიცია ვალადა,
რაც რომ სხვამ მოგვცა საჩუქრად,
შენ რატომ გვართმევ ძალადა?!
ხელი აღვმართე... მუხლებზე დაეცა სასომიხდილი...
არ მოვკალ – აბა, სიკვდილის
ვის გაუგია სიკვდილი?

ფილოსოფიურ ლირიკას უნდა მივაკუთვნოდ ლექსი „მხედრისა და ნალბანდის სევდიანი ღიმილი“, რადგან მასში გამჟღავნებულია ტკივილი ბავშვური უშუალობისა და უმანკობის დაკარგვის გამო:

ახლა ღიმილს მგვრის ნაწყობი ძნებად
ბებერ პაპათა ოფლით ნამკალი...
და დაღლილობის ტკბილი შეგრძნება
მაქვს, თითქოს მკერდზე მესვენოს ქალი.
საოცარია და საკვირველი,
ბავშვობას ასე რად ვტოვებთ ძნელად,
ეჰ, სიყვარული ჩემი პირველი,
უკვე იქ ჩანდა უკანასკნელად.

ფილოსოფიურად ჟღერს სიტყვები:

ო, სარკევ ჩემო, შეგიცვლივარ მეც იერულად!
გმადლობ, ჩვენს შორის ეთერს სჭარბობს ფერი რომ ის...
ხომ სიყვარული თითქოს არ ჟღერს მეცნიერულად,
მაგრამ არის შიგ რაღაც დიდი ასტრონომიის.
(„*** ო, სარკევ ჩემო... “)

აღსარებასავით გაისმის ლექსი „ღამე ერთი წლის ხელნაწერების ფურცვლაში“:

ეჰ, მეგობრებო, ხვედრი ჩემი არ დაყოფილა
მარტივ იმედად და შეგნებად ხატის და ჯვრისა,
თვით პოეზიაც თვითმიზანი არა ყოფილა –
ის ნაწილია მეამბოხე სულის ტანჯვისა.

მის ფილოსოფიურ ლირიკაში საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს რელიგიურ თემატიკასაც. აი, ერთი მათგანი:

ღმერთო, დიდია განგება შენი,
სამყარო, ქმნილი უდიდეს ნებით,
ენერგიული, მტკიცედ ნაშენი,
მიუწვდომელი დანიშნულებით.

ეს ლექსი კი ასე მთავრდება:

შენ ეს ქმნილება ერთი გეყოფა
გვირგვინად, ტახტად, ღმერთობა გეთქმის,
რომ მიანიჭე აზრი შენს ყოფას
ადამიანის ამქვეყნად შექმნით!
(„ნაყოფი, რომელმაც მებაღის მოლოდინს გადააჭარბა“)

ფილოსოფიური ლირიკის უმშვენიერეს ნიმუშად გვევლინება და ამასთანავე შესანიშნავ ალეგორიას ქმნის ოთხტაეპიანი ლექსი „რა მცირე ვარ“:

„რა მცირე ვარ, უშნო, მდარე, “
ბედს უჩივის გუბე ბრაზით,
თუმცა მასში მოჩანს მთვარეც,
ცაც და მთებიც ბუმბერაზი.

ასეთი მრავლისმეტყველი მინიატურები აღნიშნულ წიგნში მრავლადაა.

სერგი კაკალაშვილი შვილმკვდარი მამაა, რაც მას გაუნელებელ ტკივილად ექცა. შემზარავ სევდას შეიცავს მისი ლექსი „ჩემს ჯორჯის“:

შვილო წახვედი!... ვერ ვიტყვი ენით,
ეს ბოლმა გულში როგორ დავტიო,
მე ეს სამყარო მიყვარდა შენით
და უშენობას მას ვერ ვპატიობ!

და ეს ლექსი–რეკვიემი კი ასე მთავრდება:

ცრემლით, უცრემლოდ ვქვითინებ, ვბღავი –
განუკითხავი ჩამოწვა ღამე...
ნუ დუმხარ, შვილო, სიტყვა მითხარი,
მამაშვილობას, მითხარი რამე!

და ამ ფიქრებისა თუ განცდების შემდეგ, ფინალურ აკორდად გაისმის ლექსი „რაა პოეტი“:

პოეზიაა სულთა სვლა ცამდე,
ალთა აზრია ფერად იისა...
არცა იწვოდე და არცა სწვავდე?! –
წვაშია მადლი პოეზიისა!
გოლგოთის გზაზე თუ არ უვლია,
რაა პოეტი, რაა მწერალი?!
ყველა მწვერვალის წინ უფსკრულია,
ყველა უფსკრულის წინ კი მწვერვალი.

პოეტურ შემართებასთან ერთად, სერგი კაკალაშვილი ფლობს ლექსთაწყობის ყველა საიდუმლოს, რაც მის ქმნილებებს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს და ეროვნული ლირიკის ერთგვარ მაკავშირებელ ხიდადაც გვევლინება. აკადემიზმთან ერთად, მის ლექსებში მკვეთრად არის ასახული თანამედროვე პოსტმოდერნისტული ტენდენციებიც.

თემატური მრავალფეროვნება, პოეტური მიმართულებების სინთეზი, პოეტიკის უფართოესი პალიტრის გამოყენება, ეს ყოველივე უნიკალობას სძენს მის შემოქმედებას და უმკვიდრებს ადგილს ქართული პოეზიის მოწინავეთა შორის.

მაგრამ მთავარზე მთავარი მაინც ისაა, რომ მისი ყოველი ლექსი სულის ორგანული ამოძახილია, ნაშობია ტკივილით ან სიხარულით, ეხმიანება როგორც რეალობას, ისე პოეტის სულში მიმდინარე პროცესებს და... სწორედ ამიტომ სერგი კაკალაშვილის ლექსები ცოცხალ არსებებს მოგვაგონებენ, ისინი სუნთქავენ და ჩვენც, მკითხველებსაც გვაწვდიან პოეტურ ჟანგბადს...

## დამანა მდივნიშვილი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შესახებ

„ფოტოსურათი ინახავს ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერ დღეებს“, - ეს სიტყვები ეკატერინე ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ფოტოგრაფიის დიდ ღირსებაზე წერდა აკადემიკოსი აკაკი შანიძეც: „ფოტო ძალიან დიდი სამსახურის გამწევი მასალაა, რაც უნდა ზეპირად აღწეროთ თქვენი რომელიმე საგანი, რაც უნდა მჭერმეტყველად დაახასიათოთ იგი, ერთი სურათი იმაზე მეტს გეტყვით, ვიდრე თქვენი მჭევრმეტყველება“.

ჩვენში მუდამ დიდ სინანულს იწვევდა ის ფაქტი, რომ მომავალ თაობებს გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი არ შემორჩა. ამიტომ ამ დანაკლისის შევსება მრავალმა სახელოვანმა მხატვარმა სცადა. ყმაწვილკაცობაში გარდაცვლილი პოეტის სახის საჩვენებლად ქართველმა ფერმწერებმა არაერთი მხატვრული ტილო შექმნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ გამოხატავს პოეტის ბუნებრივ სახეს.

ჩემი ხანგრძლივი კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მოვედი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ფოტოდ უნდა მივიჩნიოთ XIX საუკუნის 40-იან წლებში, კონკრეტულად, 1842 წელს




გადაღებული ძველი დაგეროტიპის ფოტოსურათი, რომელიც ამჟამად საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება.

აღსანიშნავია, რომ სულმნათმა გურამ შარაძემ თავის დროზე უარყო მხატვრების მიერ პოეტის სხვადასხვა დროს შექმნილი პორტრეტები და მის მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ორტომეულში შეიტანა სწორედ ლიტერატურის მუზეუმში შემონახული ნ. ბარათაშვილის ფოტოსურათი, სახელწოდებით „სავარაუდო“, რადგან მას ამის უტყუარი მტკიცებულებები არ გააჩნდა.

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში დაცული ფოტოს იდენტურობას დღესაც არავინ აღიარებს სხვადასხვა მიზეზის გამო, კერძოდ, ამის ერთ-ერთ მიზეზად იშველიებენ იმ არგუმენტს, რომ თითქოს საქართველოში ფოტოგრაფია 1854 წლამდე არ არსებობდა, ჩვენი დიდი პოეტი კი 1845 წელს გარდაიცვალა.

დიდხანს ვსწავლობდი ამ ფოტოს ისტორიულ წარსულს და ჩემს ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით შემიძლია ვამტკიცო, რომ ლიტერატურის მუზეუმში დაცულ „უცნობი მამაკაცის ფოტოზე“ ნამდვილად ნიკოლოზ ბარათაშვილია აღბეჭდილი! ამ მოსაზრების განსამტკიცებლად უპირველესად მინდა მოვიშველიო ამონარიდი შუქურა ინასარიძის წიგნიდან „საქართველოს მესურათხატენი“, რომელშიც გადმოცემულია ფოტოხელოვნების ისტორია.

საქართველოში ფოტოგრაფია ასე დაიწყო: 1842 წელს კავკასიაში მინერალური წყლების შესასწავლად გამოემგზავრა ქიმიკოსი იური თევდორეს ძე ფრიცშე. მას ამ ექსპედიციაში თან ახლდა დაგეროტიპის ცნობილი ოსტატი სერგეი ლევიცკი, რომელმაც მიიღო კავკასიაში გამგზავრების მიწვევა, თან წაიღო თავისი აპარატი და გალვაიდური წესით მოვერცხლილი ფირფიტები. ახალგაზრდა ფოტოგრაფმა გადაწყვიტა შეექმნა რამდენიმე ხედვითი დაგეროტიპი - გადაეღო კავკასიის დიდებული პეიზაჟები (ს. მოროზოვი, „პირველი რუსი მხატვარ-ფოტოგრაფები“, 1952 წ. გვ. 14). პეტერბურგში დაბრუნებისთანავე, 1843 წლის 11 იანვარს, ფრიცშემ რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ფილოლოგიურ-ისტორიულ განყოფილებაში ოფიციალური მოხსენება წაიკითხა, რომელშიც იუწყებოდა: „ბატონ კოლეგა ბროსეს დავალებით ტფილისში ყოფნისას შევეცადე ქართული წიგნები შემეძინა, მაგრამ ძიება უშედეგოდ დამთავრდა. ახლა ერთმა ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც მე ტფილისში მქონდა, თავადმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, თანხმობა განაცხადა, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებინა მათი ასლები. ვეშურები რა, ვაცნობო ეს აკადემიას, ამავე დროს, გამოვთქვამ მზადყოფნას, მოვაგონო ბატონ ბარათაშვილს ჩემზე მოცემული დაპირება“ (გ. ჩიქოვანი, პიტერატურული ძიებანი, ტ. 3, 1947 წ. გვ. 146-147). ცხადია, საქართველოში ყოფნის დროს ს. ლევიცკი გაეცნო ნიკოლოზ ბარათაშვილს და გადაიღო კიდეც პოეტის პირველი დაგეროტიპული პორტრეტი, რომელმაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ მოაღწია და რომელიც, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, დაიწვა ხანძრის დროს ერთ-ერთ ლითოგრაფიაში: „ამას წინათ „ნოვოე ობოზრენიეში“ ბარათაშვილის შესახებ წერილი იყო დაბეჭდილი ამ სურათის გამო. აი, რას მოგახსენებთ (ილია ჭავჭავაძე): 1878 წელს ბარათაშვილის ლექსების მეორე გამოცემა რომ მომზადდა, ბარათაშვილის სურათის გამო მივმართე თ. გრ. ორბელიანს, რომელიც ბიძა იყო ბარათაშვილისა და ვთხოვე, რომ ბარათაშვილის სურათი თუ მოიძებნება სადმე დაგვეხმარეთ, რომ ეგები არ დაიკარგოს და დავბეჭდოთ-მეთქი. გრ. ორბელიანმა მიამბო, რომ ბარათაშვილის სურათი იმის დასა აქვს ქართლშიო, წერილს მივწერ, მომივა და გადმოგცემთო. გავიდა ხანი და გრ. ორბელიანს წერილიც მიეწერა, მაგრამ სურათის მიღება დაგვიანდა და მეც ბოლომდე ველარ მივდიე ამ საქმეს. ეხლა შევიტყვეთ, რომ ბარათაშვილის სურათი მის დისგან ტფილისში ცამოუტანიათ კიდეც და ერთის ლიტოგრაფიის პატრონისთვის გადაუციათ, რომ დაებეჭდა, მაგრამ სურათი ვერ დაბეჭდილა, რადგანაც ლიტოგრაფია დამწვარა და ბარათაშვილის სურათიც შიგ მოჰყოლია. ჩვენ არ ვიცით, ვისი ლიტოგრაფიაა ის. ის კი ვიცით, რომ ტფილისში ამ თორმეტი წლის წინ დაიწვა ცნობილი ტომსონის ლიტოგრაფია, სადაც დაიწვა აგრეთვე საბა-სულხან ორბელიანის სურათის ის დედანი, რომლიდანაც სხვა სურათებიც დაბეჭდეს და გაამრავლეს“ (გაზ. „ივერია“, 120, 1891 წ. ). მოყვანილ ფაქტს ილია ხონელი აზუსტებს და 1891 წლის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ წერს, რომ პოეტის დაგეროტიპული პორტრეტი, რომელიც სამოციანი წლების დასაწყისში მგოსნის დისგან წამოიღო ილია ჭავჭავაძემ და გადასაღებად გადასცა დიუბილერის ფოტოგრაფიას, განადგურდა ამავე ფოტოგრაფიაში გაჩენილი ხანძრის დროს სამოციანი წლების შუა ხანებში.

როგორც უკვე გამოირკვა, იმ პერიოდში არსებობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე ერთნაირი ფოტო, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, დაკარგულად ითვლება. ჩვენდა საბედნიეროდ, 1958 წელს ბარათაშვილის ერთ-ერთი ნათესავის, კერძოდ, კონსტანტინე ბარათაშვილის მიერ პოეტის ფოტო ჩაბარდა ქართული ლიტერატურის მუზეუმს, რომელსაც აღიარება არ მისცეს.

გვინდა, გამოვხატოთ ჩვენი ღრმა რწმენა, რომ ფოტოზე ნიკოლოზ ბარათაშვილია გამოსახული და ამის დამადასტურებელი არგუმენტებიც უდავოდ გაგვაჩნია. ტატო თავისი ევროპული ჩაცმულობით, ყელზე ბაფთია და სერთუკით გამორჩეულად ყოფილა ცნობილი სამსახურში „სუდა ი რასპრავი“, როგორც კანცელარიის მუშაკი. ფოტოზე გამოსახული მისი სახის ნაკვთებიც ზუსტად შეესაბამება ბარათაშვილის იმ აღწერილობას, რომელსაც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასია ტატო ბარათაშვილის ისეთ ახლობელ და სანდო პირთა მოგონებები, როგორებიც იყვნენ მისი სიყრმის მეგობრები: კონსტანტინე მამაცაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, პოეტის და - ბარბარე ვეზირიშვილისა და სხხვანი მრავალნი. მათი დახასიათებით პოეტი ყოფილა საშუალო სიმაღლისა და თანაზომიერი ტანადობისა, ოდნავ პირხმელი, პირისფერი - მოთეთრო, წმინდა, წაბლისფერი თმით. სახის საერთო ქერა იერს კონტრასტის სახით აცხოველებდა შავი მეტყველი თვალები.



## იზა ჭიკაიძე

### ხელოვნებისა და სიტყვის ძალა

აბსურდულია ამა ქვეყნის მარადისობა,
თუმც აბსურდულის მინიშნება ვერაფერს
გვშველის,
ვერც ბოლო ჟამის, წარღვნის შიში გვიმოკლებს
ცოდვებს
და სიყვარულის სიძულვილით კვლავ ლხენას
ველით...
ზოგჯერ ფხიზლდება გონება და, დარბის
კითხვები,
სად არს ფესვები, რანი ვართ და რანი ვიქნებით,
აბსურდის კედლებს წავაწყდებით ჩვენივ
ღირსებით,
გამოსავალის მოძიებას შვილებს ვპირდებით...
მერე შვილები იჩიჩქნიან აბსურდის კედლებს
და შედარების ფრთხილი მზერით თვალებს
ძაბავენ,
შედარებითი რას ეყოფა გონების ნათელს,
მამა–შვილები თუ ერთმანეთს სიტყვით
ხანჯლავენ?!
აბსურდის ცნობას, ამბოხსა და აღიარებას
ვერ შეაჩერებს გალღობილი აისბერგები...
ხელოვნება და ჭეშმარიტი სიტყვა გვიშველის,
ღვთისმშობლის მადლით, მაცხოვრით და
ღმერთის ხელებით!!

### მცირედ შეშლილი კითხვები

თავში ჩატენილ უაზრო ფრაზებს
არარაობა დედამიწის უშნო ღერძივით ვატრიალებ
და არარაობის მკვახე ფრაზებს ვაგემოვნებ უცხო
ბაგიდან,
რომ სანაცნობოს ასცდეს ცილისწამების ფუყე
მტვერი
და მარადისობის მადლებით აივსოს მამითადი...
ახლებური და აზრიანი მზერის გამები მომძახიან
ახალგაზრდა გოგო–ბიჭების ბაგეებიდან,
რომ ერთიანად გადავფარცხოთო
ვითომდა მრგვალი დედამიწის ბრტყელი ქანები,
რადგან აბსურდის სცენარები არ დაგველია
და აბსურდული თეატრების მსახიობებიც
სცენა დედამიწის ზედაპირზე ურცხვად მღერიან...
თავში ჩატენილ არარა ფრაზებს ვატრიალებ,
არარაობა დედამიწის გრძელი ღერძივით
და კითხვები მწვავს, მცირედ შეშლილი...

### ბეღურები და მზე

ზამთრის წლები ზუსტად ისე შემესია,
ვით ფუტკარი ატმის რტოებს
აპრილიან დღეს,
ვეფიცხები შენს სიყვარულს ისერიგად,
როგორც დიდი წვიმის შემდეგ
ბეღურები მზეს...

### ხმა გამეც, ბატონო

ჰეი შენ, ადამის ძევ!
რა გალხენს, ნახევრად მდნარო და ნახევრად
მკვდარო?!
ჰეი, თქვენ, გარდასულო ლხენის დღეებო და
ადამის ძეებო,
როცა გიხმობენ, იჩქარეთ, მაგრამ ნელა იჩქარეთ,
თორემ სამოთხიდან განდევნამდე ღმერთსაც
სწამდა ჩვენი
და ძალიანაც ვუყვარდით! მას ახლაც
ვუყვარვართ!!
ჩვენ რომ იოტისოდენ შევძლებდეთ მის
სიყვარულს,
რაღა მოგვკლავდა, როგორ ვუსურვებდით
ერთმანეთის
წყევლას, გვემას, სახვალიო გზების ნგრევას,
როგორ დავაბინძურებდით ტვინის ქათქათა
ხვეულებს
შავი და ბანძი ფიქრით, ჩმორული სიტყვით,
ან ერთხელ ვინმეს გამოექცეოდეს სიტყვა
სინანულისა,
რომ დემოკრატია მის სულში მაინც
დამყარდებოდეს,
ვიღაცას სინდისი ძარღვი აღმოაჩნდებოდეს,
გაუწყდებოდეს და მიბაძვის მსურველთ
წყალწაღებული ხალხის ხსნის სურვილი
გაუჩნდებოდეთ!
ჰეი შენ, ადამის ძევ!
რა გეფერ–ვეიერკება შაბათ–კვირის წირვა–
ლოცვის ჟამს,
შენი ერთი გასროლა ერთი თვის პენსიას რომ
ჰგავს!!
რა გალხენს, ნახევრად მდნარი და ნახევრად
მკვდარი,
გაქცეულ–გაქსუებული ხალხისა და
რამდენჯერად დაგლეჯილ–ჩამოხეული მამულის
პატრონო?!
ჰეი შენ, ადამის ძევ, ხმა გამეც, ბატონო!

### ჩემი ჰაერი და წყალი

სულ ერთმანეთს ჰგავს დღენი სოფლისა,
მე განსხვავებულს ვისახავდი მოდელს ზეცისას,
ჰოდა, ცა მქონდეს ახალი, – მინდა!
ლექსები ცვივა, ისიც ზეციდან!
ლექსები მტკივა, ლექსები მზარავს! ყველა შავ
დღეში
ის არის ჩემი ჰაერი, წყალი და ის მიფარავს!
ო, როგორ მოსაწყენია ამდენი გიჟი პოეტი
და როგორ მოსაფერია სიტყვის ძარღვი და გენია!
სიცოცხლეს მიტომ მიეცა აზრი და ამიტომაც
მოსალხენია!
აქ ყველაფერი ელავს და ყველა ქვა დასამღერია!
თითო ტაძრის ნანგრევი, თითო ბალახის ღერია,
ეს დაჯიჯგნილი და წართმეული მინდვრები,
დიახაც, ჩემია!
კალთადახეულ მამულზე დაცრემლილები
ვმღერივართ!
ჩემია ღალატიანი შადიმანი და თავგასული ბატონი,
ქალაქში ბედისმაძიებელი ზარმაცი გლეხიც ჩემია,
ის შეფუთული წარსული და გაღეღილი, მდიდარი
მომავალიც ჩემია!
ის გიჟი პოეტიც ჩემია და არც ისე მოსაწყენია,
რადგან ჭკვიანის შესადარებელია...
სულ ერთმანეთს ჰგავს დღენი სოფლისა,
მე განსხვავებულს ვისახავდი მოდელს ზეცისას,
ჰოდა, ცა მქონდეს ახალი, მინდა, საიდანაც
ლექსები ცვივა!
ლექსები მტკივა, ლექსები მზარავს...
ყველა შავ დღეში ის არის ჩემი ჰაერი, წყალი და
ის მიფარავს!!

### განათლებულ კაცს ვერავინ მართავს

შვილო, გახსოვდეს ანდერძი ერთი,
არ განარისხო არასდროს ღმერთი!
აპრილის ფერებს უხატავ ზამთარს,
თუ არასოდეს არავინ გმართავს...
შეგადარებენ ზეციურ ვარსკვლავს,
არ დაუჯერო, თუ ვინმე გმართავს!
პატიოსნებით იძენ ღირსებას,
სწავლით და შრომით – თავისუფლებას!
ჰოდა ისწავლე ცხოვრება ისე,
რომ სამართავი არარა გჭირდეს!
კარგად ძველია, არ ვამბობ ახალს,
განათლებულ კაცს ვერავინ მართავს!!

## მედეა როგავა

### რაც უნდა გითხრათ! ჩემსა და ჩვენს მომავალ თაობას - ყველას, ყველას!

ეჰ, რამდენი ათეული წელი გასულა! 2018 წელი, მარტის თვის ბოლო დღეებია! სტუდენტებთან ერთად ჩემთვის მარადიულად ერთადერთი უნივერსიტეტის ეზოში ვარ და ვესაუბრები შენობის აგების ისტორიაზე, ამიერკავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსებაზე, დამაარსებელთა თავდადებაზე, უდიდეს მეცნიერებზე, რომლებიც ჩვენი თაობის ახალგაზრდების სულიერი, გონებრივი და, რაც მთავარია, ეროვნული სიდიადის დაუბერებელი მმართებლები იყვნენ.

საუბარი დამთავრდა. ახალგაზრდები წავიდნენ. თითქმის რვა ათეულ წელს მიღწეული, ჯანმრთელობა შერყეული, მაგრამ თქვენი იმედით ფრთაშესხმული დედა და ბებია ეზოში ჩამოვჯექი. ვფიქრობ, წარსულში ვიძირები და გამოფხიზლება არც მინდა!

... თითქმის ორი წელია, ვიტანჯები, იმედდაკარგული ვარ. თქვენ, ჩვენო პატარა ქართველებო, ცირა და ბიჭი მახარიებო, თქვენი იმედი რომ არ მქონდეს, სიცოცხლეც არ მინდა. დამიჯერეთ, ყველაფერს გულახდილად ვწერ... არ მეძინება, დამათენდება და რაც იმ ღამეს ვიფიქრე და „ფურცლებს გავანდე“, დილით ჩემივე ხელით იფერფლება! ვის აინტერესებს? ვინ წაიკითხავს? ვის ჩააგონებ?... „ქვეყანა იქცა დუქნადა!“

... მაგრამ ამ დღეებში წავიკითხე მხატვრული, მინიატურული პროზის საოცარი მონაპოვარი, რევაზ მიშველაძის „დიდკაცთა მოსაცდელებში ჩანიშნულები“... ახლა კი გავბედავ და ვიწყებ!

ჩემნაირებს „გულმოკლე პატრიოტები“ გვქვია! რატომ? შარშან მსოფლიომ იზეიმა შოთა რუსთაველის დღეები! ჩვენ? არა! რატომ? „დუქნად ქცეულ ქვეყანაში რატომ ან როგორ უნდა აეტანათ ვაჟართა წრის რუსთველისეული ბრძნული შეფასება:

„თქვენ, ვაჟარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,

შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით ტანა კარნი!“

ან:

„ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

„თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსაც დაიურვებს“.

არც ეს მოეწონათ: წითელი ოქროს - ფულის კრიტიკა როგორ გაბედაო დიდმა შოთამ და ამ მდაბიოებმა ამით იძიეს შური!

ვაი, ჩვენს პატრონს! მაგრამ უნდა შეგახსენოთ:

„ვა ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,

დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეიქნევს კბილთა ღრჭენასა“.

სხვათა შორის, ე. წ. ეროვნული გამოცდების ტესტებში ეს ადგილები რამდენი წელია ამოღებულია! მაგრამ, ჩვენო ძვირფასებო, არ დაგავიწყდეთ, მსოფლიოს უდიდესი ჰუმანისტის სიბრძნეა:

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ვაითუ, „დუქნად ქცეულ ქვეყანაში“ „ქმნა მართლისა სამართლისა“ მოუნდეთ! „გულმოკლე პატრიოტები“ ვერ თუ არ გაჩუმდნენ და გახსოვდეთ, მსოფლიო მწერლობის უდიდეს ჰუმანისტ შოთაზე დიდი ჰუმანისტები არა ვართ!

როგორ „ჩაიარა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილემ? რა თქმა უნდა, უფრო „მოჩვენებითად“. რატომ? ბევრს ძალიან, ძალიან აწუხებს:

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

ჩემო ქართველებო, „ქარმან ჩრდილოსმან“ არ დაგვავიწყოს:

„ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?“

ჩემო მომავალო თაობავ, ჩემი თაობის შვილები გთხოვთ, წარსული არ დაივიწყოთ. „რატომ გვავიწყდება, რომ ყოველივე გმირობა თუნდაც მეფეთა და უდიდეს სარდალთა, სავსებით ამაოა, თუ მათ ღირსეული მემატიანე და მეხოტბე არ აღმოაჩნდა!“ წაიკითხეთ ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, „კრწანისის სევდა“ და იცით, რამდენი გაქვთ წასაკითხი?!

საოცარი წელია... „ღამეები მიქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები და ერთმანეთს მიჰყვებიან... ლაზარეს აღდგინების დღე, ბზობა, ხარება, აღდგომა... 31 მარტი - რეფერენდუმის დღე... 9 აპრილი, 1989 წელი, კალოუბანში ისევ სისხლის კალო... რუსთაველის პროსპექტი, გადამწვარ-გადაბუგული... ამ დღეს „ჩრდილოელი ძმის“ მიერ შეწირული მშვიდობიანი მომიტინგეები!

... და დადგა 14 აპრილიც! 1978 წელი. ქართველი ერის ისტორიის უდიდესი დღე! იმ ურთულეს ეპოქაში ქართველმა ხალხმა ქართული ენა სახელმწიფო ენად სამუდამოდ დაიმკვიდრა! „ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა“... „ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთახდაა!“... „ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობის, გრძნობისა“... „მამული, ენა, სარწმუნოება“... - გვიანდერძა დიდმა ილიამ.

ჩვენმა თაობამ ორმოცი წლის წინ, ჩვენ „გულმოკლე პატრიოტებმა“, ქართული ენა შევინარჩუნეთ! მახსოვს და რა დამავიწყებს იმ დღეს?! სამი წლისა და ხუთი თვის შვილთან ერთად ვიდექი რუსული ტანკების წინ!

რა ხდება დღეს? ვის ახსოვს 14 აპრილი?! ისევ და ისევ იმ ძველ თაობას! ჩვენ წარმავლები ვართ, მაგრამ ახალგაზრდობა უნდა გავზარდოთ ქართული ენის, ქართული მწერლობის, ქვეყნის ისტორიის სიყვარულით. სასკოლო სახელმძღვანელოები გასაფერადებელ სახატავ რვეულებს დაემსგავსა. „შემდგენლები“ ვინ არიან, ვინ იცის?! სასკოლო და ეროვნული გამოცდები ცუდად შედგენილი კროსვორდივითაა! ე. წ. ესეები კატასტროფაა! მეთორმეტე კლასი ფორმალურია! სკოლის დამთავრება ეკონომიურად ისედაც განადგურებული ოჯახებისათვის აოხრებაა! ვითომ ბანკეტები, ექსკურსიები, რომლებიც ფაქტიურად „მწვადიჭამიობის“ დღე გახდა! აბა, რა დროს შემეცნებითი, ქვეყნის გაცნობის ზეიმია?!

ქვეყანა „მწერლობის“ მანიამ შეიპყრო! წერს და ბეჭდავს ყველა! „რედაქტორობენ“ წერა-კითხვის მცირემცოდნეები! დიდი აკაკი შანიძე ასეთ გამოცემებს „მდაბიურ გამოცემებს“ ეძახდა. აბა, შეჰბედე და რამე უთხარი?! აქ გაგვახსენდება: „ხშირად ცუდ მოწაფეს ისევე სძულს თავისი კარგი ოსტატი, როგორც პლაგიატორს ნამდვილი ავტოი და ქურდს - მოპარულის პატრონი“ (კონსტანტინე გამსახურდია).

ამ დღეებში ქართული ენისა და ლიტერატურის VII კლასის სახელმძღვანელოს გავეცანი. აფხაზეთის ომზე ისეთი მოთხრობა იყო შეტანილი, შევწუხდი. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში უამრავი სტუდენტი დამეღუპა. რამდენი ღრმად პატრიოტული ნაწარმოები დაიწერა ამ დღეებზე?... ვინ ჩამოთვლის?

ჩვენ იქამდის მივედით, ენის ინტეგრირებული სწავლების დროს ქართულ ენას მეორე ენას ვუწოდებთ. ეს უკვე წარმოუდგენელია!

საყოველთაო ზეიმის ნაცვლად ქართული ენის დღე წიგნების „გასაღების“ დღედ იქცა!

ინტელიგენცია დედაბოძი უნდა იყოს ერის სულიერებისა! ჩვენში კი დილეტანტობამ და აგრესიამ დაისადგურა. უცოდინრობისა და უვიცობის დასაფარავად აგრესიულობა ბატონობს.

გზა ერთადერთია - განათლებული, ყოველივე ქართულზე შეყვარებული თაობის აღზრდა.

მე, ჩამორჩენილ „გულმოკლე პატრიოტს“ მწამს დამჯერა, რომ „დაგორებულ ქვასაც“ ეშველება. მოვა ახალი თაობა... ისინი „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტოვანი“ სამოთხის სიდიადეს გაითავისებენ და „დუქნად ქცეულ“ ქვეყანას თავიანთი ნიჭიერებით, გონიერებით, სამშობლოს სიყვარულით ასახელებენ. ისინი გაისიგრძეგანებენ:

„რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!“

მათ ეცოდინებათ: „მშობლიური ენის სიწმინდი დაცვისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი!“

კიდევ ერთხელ - ვიცი „ჟამი გულთ მაამი კვლავცა იქნების, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ“.

ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღის იმედებო - იოანე, რევაზ, ანა, მარიამ, ეკატერინე, გიორგი, ნიკოლოზ!... 26 მაისიც რამდენიმე დღეში დადგება. გილოცავთ და არ დაგავიწყდეთ: „მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა!“

*2018 წელი*
*31 მარტი-14 აპრილი*

## პაატა სურმანიძე

### აკვნიანობა

გულმავიწყია ბაზა ლეთისა!
ანგელოზების ნადი აკვანმა-
ოქროს ბავშვები ბაზალეთისა,
მღვდელმა მონათლოს ან დიაკვანმა.

ღმერთმა გირწიოთ გალას აკვანი,
ნიჭი გქონოდეთ ნაოჭიანი.
მირონით უნდა ცას გალაკვანი,
აკვნის, ხოჭიჭის ხან ოჭივარის.

მამულის მადლი მარად დიდია,
მინდა იმედის ზარი ბედიდან.
დიდი აკვანი მარადიდია,
მგლები "კიდევაც დაიზრდებიან."

ვიძლევ ბავშვობას ხელით, ხან კავით,
ნაფერები აქვს ნიავს აკვნები.
მეც გავიზარდე თხელი აკვანით,
ხან ხელში რწევით, იავნანებით.

ნამგალა მთვარის საგოგავები,
დედამიწაზე დაირწევიან.
დედა გულხელით საგოგმანები,
შვილები, რომ არ ავიწყდებიან.

ჩამოიტანა ნუკვა მან-ონის,
წაჩხურას რჩება აკვნის ნაკვალნი.
შინ ბრუნდებიან უაკვანონი,
არტახზე ჯვარის-ნასკვი თაყვანი.

ვაზის ფოთოლი ასკვნის აკვნიდან,
რომ ფეხს ვერ იდგამს ნაკლიანობა,
ყანწით ალავერდს მაწვდი ვანიდან,
რომ ვადღეგრძელო აკვნიანობა.

### მუზის დაბადება

ხატვა, მუსიკა, გოია, ლისტი.
დავხატე მთვარის მე, როიალი.
მეფე პოეტის როიალისტი -
მე ვარ -მომავლის მემორიალი.

კალამი მირონს მას უზეთია,
პოეტს მიდგანან მხარში ქალები.
ცხრა ცის ცხრათვალა სამუზეთია,
მამსხრევს მარაოს ქარიშხალები.

მიმაჭანკალებს ლუკას კრანახი,
დავწინდავ ლექსით ფაგოტი ჩელოს.
არაკრაკებით კულას კარნახი,
ხატავს ქმნილებას საბოტიჩელოს.

### ორფეოს

ელვა გადამექცა ჰიპნოზად,
ვნახე ლუციდური მორფევსი.
ციდან მეზმანება სპინოზა,
ხოლო მთვარით ხელში - ორფევსი.

ლექსი აკავშირებს ორ სფეროს...
არ სცნობს პოეზიას ბევრი კიდევ.
ქნარით ჩემში აღსდექ, ორფეოს,
ექოს არ მიბრუნებს ევრიდიკე.



## რამაზ სურმანიძე – 85

**85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რამაზ დურსუნის ძე სურმანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ძვირფასო ბატონო რამაზ!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები საუკეთესო სურვილებით მოგესალმებიან მრავალწახნაგოვან შემოქმედს, მეცნიერს, მშობელი ქვეყნის სამსახურში დამაშვრალ პიროვნებას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ქართული მედიცინის ის აღიარებული წარმომადგენელი ბრძანდებით, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მისი მშობლიური კუთხის – უმშვენიერესი აჭარის უანგარო სამსახურს შეალია. პროფესიით ექიმს, სადაც კი გიმსახურიათ, იქნებოდა ეს აჭარის სოფლები თუ ბათუმის სამკურნალო დაწესებულებები, ბათუმის ჯანდაცვის განყოფილება თუ კურორტთა მართვის საოლქო საბჭო, ხალხური მედიცინის აჭარის რეგიონალური ასოციაცია „მედეა“ თუ აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ყველგან სიკეთისა და პატიოსნების ნორმად და ნიმუშად რჩებოდით. რა თანამდებობაზეც არ უნდა გემუშავათ, რიგით ექიმად თუ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად, მუდამ ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული რჩებოდით და ამ ერთგულებას საქმით ამტკიცებდით. თქვენს კალამს ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები მედიცინის ისტორიიდან, მონიჭებული გაქვთ მეცნიერების დოქტორის წოდება, არჩეული ხართ სამი დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის წევრად, მუშაობთ ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

როგორ არ უნდა გვახარებდეს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საქმიანობის მიუხედავად მაინც რჩებით მრავალწახნაგოვან შემოქმედად და თქვენი წვლილიც შეგაქვთ ქართული მწერლობის განვითარებაში. 1967 წელს გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობა „გულის სახსოვარი“ და მას შემდეგ ნაყოფიერად იღვწით სამწერლო სარბიელზე.

თქვენი პროზაული ნაწარმოებები – რომანები „ემრულა“, „მურღულის ქვა“, „ლაზეთის ლეგენდა“, „ზეცასთან მოუბარი“, მოთხრობები „პაპაჩემის ხანჯალი“, „ორმოცდაერთი“, „სხვებს უნათებდე“, „ბოროტი კაცი“ თბილად მიიღო ფართო საზოგადოებამ. განსაკუთრებული წარმატება კი „ემრულას“ ხვდა წილად, სამხრეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ემრულა მალაყმაძის კოლიზიებით სავსე ცხოვრებას რომ მიუძღვენით.

დიდი ძალისხმევა შეალიეთ მწერალთა შემოქმედებითი ბიოგრაფიების კვლევას, რითაც ქართული მწერლობის ისტორია მანამდე უცნობი მასალებით გაამდიდრეთ. სწორედ თქვენ გაგვაცანით ილია ჭავჭავაძის ეპოსტოლარული მემკვიდრეობის რამდენიმე უცნობი ნიმუში, აკაკი წერეთლის ბათუმური მისამართები, ალექსანდრე ყაზბეგის მწერლური ცხოვრების ბათუმური პერიოდი, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, სხვათა და სხვათა ბიოგრაფიები, მათ შორის, ლევ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის, ანტონ ჩეხოვის, სერგეი ესენინის, მიხეილ ბულგაკოვის ცხოვრების უცნობი ეპიზოდები. ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეთ ქართული წერილობითი ძეგლების, ფოტოდოკუმენტების, სახელოვან წინაპართა ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული წყაროების მოძიების, შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეს.

მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვენით სელიმ, შერიფ, ნური ხიმშიაშვილების, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, გულო კაიკაციშვილის, ყადირ შერვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ჩინებულად თარგმნეთ ქართულად ანტონ ჩეხოვის „მწვანე კონცხი“ და ივან კიჩიკოვის „თოვლის კაცი“..

საგულისხმოა, რომ ოთხგზის აგირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრად, ხოლო 1990 წელს — საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად. სწორედ მაშინ გერგოთ უდიდესი პატივი – ხელი მოგეწერათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

გვახარებს, რომ თქვენი მრავალწლიანი მრავალმხრივი მოღვაწეობა ღირსების ორდენით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ აბუსერისძე ტბელის, ილია ჭავჭავაძისა და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები, არჩეული ხართ ბათუმისა და შუახევის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო რამაზ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*



## ჯემალ ჯაყელი – 90

**90 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ აბდულის ძე ჯაყელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ბატონო ჯემალ!**

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ქართველ მწერალთა საძმოს ერთ–ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, მხცოვან, ღვაწლმოსილ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

თქვენი ცხოვრება, თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს დიდი ილია მართლის გზაზე შემდგარი მწერალი მშობელ ქვეყანას, მშობელ ერს, მშობლიურ მწერლობას, როგორ უნდა უბეროს სული მარადიულად ბეწვის ხიდზე მავალი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების წმიდათაწმიდა იდეალებს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნით, რომელიც სამწერლო ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გამოვიდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება. 1947 წელს გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები, 1957 წელს გამოეცით პირველი პოეტური კრებული „სიჭაბუკე“ და მას შემდეგ, შვიდი ათეული წლის განმავლობაში, ჭაბუკური გზნებითა და შემართებით ეჭიდებით ქართულ სიტყვას და ხშირად გამარჯვებულიც გამოდიხართ ამ შერკინებიდან.

ალბათ ამიტომაც სარგებლობს გემოვნებიან და მომთხოვნი ქართველი მკითხველის მოწონებითა და ინტერესით თქვენი ისეთი საყურადღებო ნაწარმოებები, როგორიცაა პოეტური კრებულები „ჩანჩქერები“, „თვალები და გზები“, „რჩეული ლექსები“, ერთტომეული – „მზისა და წვიმის სერენადა“, „მაცთუნე, ევა“, რომანები „გულის საუნჯე“, „მუჰაჯირი“, „ჟამთაბერი“, „მზე მობრძანდება, ადამ“, „აღმართი მარადიული მშვენიერებისა“, „ნიმფა“... ამ ქმნილებებში თქვენი სულის ნაჟურია ჩაღვრილი, ძალუმად იგრძნობა, რომ რაზეც არ უნდა წერდეთ, საქართველოა თქვენი შთაგონების მთავარი და უშრეტი წყარო. არაა შემთხვევითი, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველმა ასახეთ დიდი ეროვნული ტრაგედია – მუჰაჯირობა რომან „მუჰაჯირში“, რომელმაც არაერთ გამოცემას გაუძლო.

თქვენი საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია უკრაინულ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. ბოლო წლებში სომხეთში თქვენი ორი პოეტური კრებული გამოიცა – „ვარსკვლავთა ძახილი“ და „დამიჯერე“... სწორედ ამ გამოცემების შემდეგ აგირჩიეს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

მშვენიერად თარგმნეთ სილვა კაპუტიკიანისა და ფელიქს ბახჩიანიანის ლექსები. თქვენი სცენარების მიხედვით გადაღებულია დოკუმენტური ფილმები „მესხეთი“, „ჭეშმარიტი მამულიშვილი“ (მემედ აბაშიძეზე), „აჭარა“, „ტაო–კლარჯეთი“, შექმენით სცენარი სრულმეტრაჟიანი. მხატვრულ–ფსიქოლოგიური ფილმისათვის „წყარო ვნებათა“. ძალზე საინტერესოა თქვენი გამოკვლევა „ქართველ მთიელთა ფოლკლორული ტრადიციები ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალმხრივი, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ ლიტმუშაკად, აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ–თანამშრომლად. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, მწერალთა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატად და პარლამენტის სენატორად, საქართველოს საქველმოქმედო ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდენტად. ხართ საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიისა და კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქედის რაიონის საპატიო მოქალაქე.

თქვენს სამთავრობო ჯილდოებს შორის გამორჩეულია ღირსების ორდენი – თავისუფალი საქართველოს ერთ–ერთი უპირველესი ჯილდო. მონიჭებული გაქვთ აბუსერისძე ტბელის, მემედ აბაშიძის, ფრიტიოფ ნანსენის საერთაშორისო პრემიები, საერთაშორისო ოქროს მედალი „ზოლოტაია დესნიცა“, შარლ აზნავურის სამახსოვრო მედალი, გრიგორი ნარეკაცის სამახსოვრო მედალი, ჰაოს–ქართლოსის საერთაშორისო ვერცხლის მედალი, პოეზიის რაინდის წოდება.

ჩვენო ძვირფასო ჯემალ–სარგის!

გულით გვახარებს, რომ თქვენ ჭეშმარიტმა მამულიშვილმა საუცხოო მაგალითი მიეცით თქვენს თანამოძმეებს, როცა დედაეკლესიის წიაღში დაბრუნდით და ყველას დაანახეთ, თუ რა უმადური საქმეა, ქართველს ისე დაუბინდო გონება, რომ დაივიწყოს თავისი ფესვები, სულიერება, სამასწლოვანი მონობისგან მიყენებული იარები...

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს შესანიშნავ შემოქმედს, რომელსაც ვერარას აკლებს წელთა სიუხვე. დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ მშობელი ქვეყნის გასახარად.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

## რუსუდან კერვალიშვილი

### გაზაფხული
(ვუძღვნი გიორგის)

იამ და ენძელამ პირველმა გვახარა,
გაზაფხულის მოსვლამ ყველა გაგვახარა,
სინათლით მოვიდა, სითბოთი მოვიდა,
ღიმილი მომინდა, სიმღერა მომინდა.
მარტი ცვალებადი ზოგჯერ სულელია,
ჭირვეულ ქალბატონს მაინც სულ ელიან,
ქარებით გვიგზავნის ის ვნებიან ამბორს,
თავისთვის ჩურჩულებს და არაფერს ამბობს.
მე მიყვარს კეკლუცი, ლამაზი აპრილი,
სურნელი ამ თვის და ატმის ყვავილის,
ხასხასა ბალახის საოცარ სიმწვანეს
ამშვენებს ფერები ყვავილთა ხალიჩის.
კვირტები პირს მალე, სულ მალე გახსნიან,
ყველგან სიცოცხლე და ყველგან ხალისია,
ყველაზე საამო მაინც მაისია,
„მზემ ფეხის წვერებზე აიწია"!

### ეს ჩემი საქართველოა

ერთმანეთს შერწყმია მთა, ზღვა და მინდორი,
ხიბლავს უცხოელებს ქართველი მიმნდობი,
ჩვენი გულის სითბო სულყველას ატყვევებს,
გულგრილად ვერ ჩაუვლი ამ ტბებს და ამ ტყეებს.
გხიბლავს და გაოცებს ქართული სიმღერა,
(მსოფლიო ფოლკლორის შედევრად ითვლება),
„ქართული გენია როკვაში განფენილი",
ჯიხვი და არწივი ქარაფზე გაფრენილი.
ჩემი საქართველო - ოცნება ახდენილი,
შინაურ-გარეულ მტრებისგან დაგლეჯილი...
საქართველოა „ვეფხისტყაოსანი",
ილიას, აკაკის ქნარი,
გალაკტიონი - სიმი გაწყვეტილი,
ფაფარაშლილი ქარი.
ზეცას მიილტვიან ქართული ტაძრები,
უფალმა გვიწყალობა მადლი,
დედამიწაზე გვიბოძა ედემი,
სულ რამოდენიმე ადლი...
შეშურდა მტერს ჩვენი ედემი,
იფიქრეს, წავგლიჯოთ ეგების,
კრწანისი... დიდგორი... მარაბდა...
აქციეს საომარ ალაგად...

## ნათელა შაინიძე

### მართლა ედემი

მთას ნისლი დაუბურია,
ვით ქალის წმინდა მანდილი,
მზე ვარდებს შემოხვევია,
აუხდენია წადილი.
აქ სამოთხეა ღვთიური,
ცა-დედამიწის ერთობა,
სილაღე ამქვეყნიური
და სილამაზის ვერ თმობა.
ეს არის მართლა ედემი,
ღვთით ნაბოძები ბუნება,
თვალით რომ შეეფეთები,
გაგიკეთდება გუნება.
თვალი ზედ რჩებათ, ხარობენ,
ყველას ჰგონია თავისი,
როგორ ჩაიგდონ, დარდობენ
და გაიხადონ თავისი.
ყველას აქ უნდა ჩასახლდეს,
გემოვნება კი ჰქონიათ,
ეს ჩვენი კარგი ქვეყანა,
„ნოეს კიდობანი" ჰგონიათ.

### მე როცა წავალ

მე როცა წავალ ცაზე მთვარე ისევ ამოვა,
მზე სხივებს ისევ მიმოფენს ირგვლივ,
ციდან ცრემლები წვიმად წამოვა
და შენ არაფრის გექნება ხიბლი.
წავალ და ამით არც რა მოხდება,
თვალდახუჭული გავივლი სავალს,
სიმწრისგან თვალში ცრემლი დაშრება
და ვერსად ნახავ სხვა გამოსავალს.
გარდა იმისა, რომ გამიხსენო,
მოგენატრები როცა ძალიან.
შემეცოდები... ღამე მარტომ უნდა ათენო,
როცა დარჩები მარტოდ... ცალია.

## გიგა გორგიშელი

### აჩრდილის ტრიოლეტი

მე ვარ აჩრდილი დიდებული, ვით ღამის ფერი
და ოცნებასთან სიახლოვით, ვიწვი და ვქრები.
ჩემი ბრძოლაა, ამ საუკუნის დიდების მფენი.
მე ვარ აჩრდილი დიდებული, ვით ღამის ფერი.

- რომ შაშვთან ერთად, ტყეში სიმღერებს ვმღერი,
- რომ იდუმალ ღამის მესაიდუმლედ ვრჩები.
მე ვარ აჩრდილი დიდებული, ვით ღამის ფერი
და ოცნებასთან სიახლოვით, ვიწვი და ვქრები.

### ***

როცა დამუნჯდება დროის ციფერბლატი,
გულს გადაფარავს მხოლოდ მონატრება
და როგორც ლანდად მოსული მარტი,
ჩუმად გამიტაცებს ვინმეს მოგონება

გაცრეცილ სამოსში მივდევ ამ სიკვდილს,
თითქოს და თენდება თეთრად აღდგომა
და ვით თოვლის ქვეშ გამხმარ ფოთოლს,
მეც მომწყურდება კვლავ წამოდგომა.

### სარკე

მკრთალი ლანდია სახე წარსულის,
სარკესთან ფიქრი სამგლოვიარო.
მინდა სარკეში შეფრინდეს სული,
მინდა ოცნებით ცა მოვიარო.

მარადისობის ცისფერ ნაპირებს
ვუმზერ და გული, ზღვასავით გმინავს.
სული გაფრენას რომ დააპირებს,
ბზარი დასერავს მოვერცხლილ მინას.

მკრთალი ლანდია სახე წარსულის,
სარკესთან ფიქრი სამგლოვიარო.
მინდა სარკეში შეფრინდეს სული,
მინდა ოცნებით ცა მოვიარო.

### ***

როცა ღამის ტევრში ღელავდა მთვარე,
ცაზე მწუხარების მოჩანდა ველი.
მხოლოდ მონატრება ელავდა მწარე,
თითქოს ბოროტების ცეკვავდა გველი.

### აგონია

მივალ გზაზე იქ სადაც საუკუნო დარდია,
სადაც მძიმე ლოდებთან იმედები მარხია.
როცა წამთა ხროვაში, ობლად გავიხლართები,
გაჩნდებიან შეშლილი, რაღაც შავი ლანდები.

ლანდებს მიღმა ზარები გოდებისგან კვდებიან,
ჩემს გარშემო ცოცხალი, მხოლოდ თეთრი ქვებია.
ახლა ზღვაზე სუდარად ჩნდება მკრთალი ნათება,
და ვგრძნობ თითქოს იჩქარის ავბედითი განგება

ევლებიან სტრიქონებს აჩრდილები დუმილით
და წარსულის სიზმარი, მოჩანს როგორც წუხილი.
ვხედავ ქარი აწყდება, ჩემს ნატერფალ ბილიკებს
და მზე უკვე მომავლის, ჩემს არსებას ივიწყებს.

## მარიკა პარნასელი

### მატიანე

სათქმელი ჟამ-ჟამ მეძნელება,
მზე ცას კოცონად აბრიალებს...
მათრობს იები, ენძელები, -
დედის ცრემლების მატიანე.

ტკივილი ბევრი მაგონდება
და ვითვლი ურიცხვ შავ იარებს,
სისხლის მდინარე და გოდება, -
სამშობლოს ჩვენის მატიანე.

დაე, წალამიც იქცეს ჯვრებად,
ოცნება ფიქრის სხივად აციალებს...
ნინოს ნაბიჯი არის, მჯერა,
რწმენისა ჩვენის მატიანე.

ვწერდი მარადის უფლის ნებით,
მომხვდური კალმით ვატიალე,
ფერფლი - დედოფლის, სისხლი - მეფის,
სამშობლოს ჩვენის მატიანე.

თუ ჩამოეშვა მუქი ფარდა,
მაშინ ვარსკვლავიც არ იალებს...
იქუხებს ცრემლი წინაპართა, -
სამშობლოს ჩვენის მატიანე.

არის მაგაი, ზარს არისხებს,
სისხლით დანამულ გზად ვიარე...
თვალი მიჭირავს კვლავ მთვარისკენ,
ჰქრის ქარი, - სევდის მატიანე...

### კახეთი

თვალებში უნდა ჩაგხედო
და ცრემლი თუ გაქვს, ამოგიმშრალო,
ულამაზესო, თბილო კახეთო,
სიყვარულის და ძმობის ნიშანო.

მერე კი გულში უნდა ჩაგიკრა
ხელი ჩაგკიდო ისე ძლიერ, რომ...
მე შენთან ყოფნის ვიქეცი ფიქრად,
ერთგულების და ძმობის იერო.

ასე მგონია, მეძახი შენთან,
რადგან ხმა მესმის შენი გულისა,
მზერას ვერ მოვწყვეტ მაგ შენთა ფერთა,
შემოდგომით თუ გაზაფხულითა.

თუ ალაზანი გაისვრის შხეფებს,
დე, გავიწუწო მისი შხეფებით,
მე შენში ვხედავ ერეკლე მეფეს
და იმის ოქროს გვირგვინს ვეხები.

მე ჯერჯერობით ვერ ვიტყვი ახალს,
სიტყვა ძველია, მაგრამ გულწრფელი,
ასეთი ვინ ხარ, ასეთი რა ხარ,
ამდენ განსაცდელს რომ გაუძელი...

კლდის წვერებიდან არწივნი ჰყეფენ,
ირემი წივის შორი მთებიდან...
თუკი იორიც გაისვრის შხეფებს,
დაე, დავსველდე მისი შხეფითაც.

თვალებში ფრთხილად უნდა ჩაგხედო,
ამოგიმშრალო და ამის შემდეგ,
უდიადესო, ჩემო კახეთო,
დიდი გომბორის მწვერვალზე შევდგე...

## მარინა თოფურია

### ***

ოცნება მძალავს, ცისარტყელის ქვეშ მინდა გავძვრე
შევემუდარო ჩემი დედა ცოცხალი დამხვდეს
... ქართულ მიწაზედ, მტკიცე სულით ვევედრო გამჩენს
სისხლ-ქართულობა შეგვარჩინოს, არ გადავგვარდეთ!
საგოდებელი შემომჭარბდა, სად ვპოვო შვება
სამშობლოს იქით... ყოველივე ფარსთან წაება
.. დედა სამშობლო, დედა მშობელი და დედა ენა
აი, მთავარი, რისთვისაც ღირს ყოფნა, წამება..
... და ვაი.. ! ჭირთა დათმინება- სიცოცხლეს მართმევს
დედა სამშობლოს ძლიერებას ვენუკვი გამჩენს.

### ვაი... !!! დღეს, ვაი.. !!!

ხმალ -სავაჟკაცო დაინთქა, გაქრა,
თქვენ ქართველ-კაცნო, რამ მოგადუნათ
ჩვენი დედები ევროპის კართან
რად გაგიშვიათ... ?! ან რად გასულან..
ჩაკვდა უდედოდ სული ქართული...
კუჭისთვის ნუთუ ღირდა,, გმირობა",
სული დაიმშა, სული ქართული
და აღარც უნდა ამას ცილობა.
ქართული ძარღვი გაწყდა საზღვართან,
სული აბორჯდა, ცრემლში ჩაინთქა,
ვაი, დედებო, ვუშორეთ შვილებს
სხივი ჩაუქრეთ ქართულ აისთან.
არ დავანგრიეთ ვითომ ოჯახი,
ვაშენებთ ოდებს და ვაფართოვეთ,
ჩვენთვის კი ერთი კუთხე არ არის,
აქ ამოგვალპობს ეს სიმარტოვე..
ვკვებეთ შვილები.... რითი ვიკითხოთ,
ვაი... ! მთავარი გამოგვრჩენია,
ქართული სული აი, მთავარი,
სხვა დანარჩენი?!მოსათმენია.
ქართული ძარღვი გაწყდა საზღვართან,
სისხლად ვიცლებით უცხოობაში,
ქართული სული, რაც მანდ გადარჩა
ისიც გვეცლება - უდედობაში...
აქ კი ბრჭყვიალა ევროპის ჭიპში
ხიზ-მუზიანობს სული ქართული
და არც ვის ტკივა ჩვენს სხეულს იქით
დედათა სული დღეს გატანჯული.

P. S.... შემძრა ბერეჟიანის სამართლიანმა ქრონიკამ
ქართველი დედის გოდებამ...
ვაგლახ და ვგონებ უმრავლესად ასეა.

### რამ სანუგეშო... სიყვარული თუნდაც არ იყოს

ნუთუ განქარდა ყოველივე ჩანთქა, დროებამ,
არ მსურს ვირწმუნო წუთისოფლის ამაოება,
სიტყვაც რა არის, ერთმანეთისთვის არ გვეპოვება?
ვაი თუ.. ?! მართლა უგვანოთა მოდის დროება.
... რამ განაქარვა.. ? სიამაყე წყალმა წაიღოს,
რამ სანუგეშოც-ვთქვათ სიყვარული რომც აღარ იყოს.
არ მსურს ვირწმუნო წუთისოფლის ამაოება,
ერთურთს ვუშველოთ სიტყვით მაინც- რაც გვეპოვება.
.. არა მსურს ოქრო, დიბა, ატლასი არცა ფლურები,
ეს გული მეწვის უგვანოთა უმადურებით,
არ მსურს ვირწმუნო წუთისოფლის ამაოება,
სიტყვაც რა არის?! ერთმანეთისთვის არ გვეპოვება?
... როცა დუმილი, ამპარტავნობას სავსებით ავლენს ..
ამით სიყვარულს, უსასტიკეს განაჩენს ადებს.
... გაქრეს! განქარდეს! სიამაყე წყალმა წაიღოს!
.. რამ სანუგეშო... სიყვარული თუნდაც არ იყოს

# „დიდ კაცთან პატარა კაცსა... “

## დიმიტრი სოზაშვილი

*სახელმწიფოები, პიროვნებები შეიძლება ხედავდნენ ერთმანეთში პოტენციურ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ერიდებიან. ნაირ-ნაირი დიპლომატიური სვლებით იცილებენ შესაძლო დაჯახებებს, მაგრამ როცა შეუძლებელი ხდება დარიდება ცხოვრების გზაზე, წინააღმდეგობის ბუნებრივი მრისხანე, დაუნდობელი გამმეტებელი ხდებიან.*

*ერთმანეთისგან რა უნდოდათ, მაგრამ აი, ბედმა შეახვედრა ესენი.*

დისპეტჩერი დაიბარეს იმ დღეს გაერთიანებაში გენდირექტორთან. სანამ სახლიდან გამოვიდოდა, ტელეფონით აცნობეს, რომ სადგურის უფროსს მისი მოხსნა უნდოდა. მაინც არ ეგონა, ეგრე თუ გაიმეტებდნენ.

შევიდა, ყველას მიესალმა და ახალი გენერალური დირექტორის მინიშნებით დაჯდა.

- აბა, რა იყო ისეთი, ბიჭო, რომ ეს შენი უფროსი ასეთი უკმაყოფილო გახდა შენით?

„აჰა, ყველაფერი ნათქვამი აქვს. მთლიანად გამეტებული ვყოლივარ. ეს ოქლაქი როგორ არტისტობდა მაშინ გულსუსტობაში, - თქვენ მე მომმართავთ! ახლა, მთელი ღამე, წინ, ხვალე, მერე... “

და უცებ გაბრაზდა... ისეთი რა იყო. ჩემი რაიონიდან მომავალი ტვირთები გავაფორმე. მერე რა, რომ კერძო იყო. გადაზიდვის ღირებულებას ხომ ვარიცხინებდი და რაღა უნდა? 20% ამისა სადგურსა რჩებოდა. აბა, ეს არის სწორი, რომ ჩვენიდან ხალხი ჯერ 70კმ-ზე სადგურში მიდის გასაფორმებლად, მერე უკანა ბრუნდება და ამის შემდეგ მიაქვს ტვირთი ბაზრისკენ? მაგისი სადისპეტჩერო ვარ და სულ ერთი არ უნდა იყოს, აქ გაფორმდება თუ იქა? ხალხს უიოლდება მომსახურება და შემოსავალს ყველა იგივეს იღებს.

უკვე გაგულისებულმა გენდირექტორმა შეაწყვეტინა.

- ამან რაღა ქნას, რომ არსად არ უწერია წესდებაში - კერძო ტვირთები სადგურის სადისპეტჩეროებში შეიძლება გაფორმდესო. მერე რამე რომ მოხდეს, ამან რა ქნას? ჩვენ ამას რომ მოვთხოვთ პასუხს, ამაზე აღარა ფიქრობ?

- მაშინ რად მისცა იმათ გაფორმების უფლება, ჩემთან ერთად რომ დაინიშნენ დისპეტჩერებად. იმათ ენდობოდა და მე არა, ხომ?

- ესეთი რამე არ ყოფილა, შალვა გიორგევიჩ, ამას როგორ დავუშვებდი? სირცხვილი არ არის, ბიჭო? - დამბეზღებელმა ხმა გაინაზა.

- ჩემთან ერთად არ დადიოდნენ ისინი ღამეობით? სწორედ იმათ ჰქონდათ საბუთები. მე არაფერი მქონდა. ერთხელ რო წავეჩხუბეთ რაღაცა, იმის შემდეგ ჩემთვის როდის რა იყო?! იმათ უჭირდათ საბუთების შედგენა და მე ამიტომ მომაკითხეს. ცოტა რო გაიგეს, გამანებეს თავი. შენ ხომ სულ სკამს დაჰკანკალებ.

აქ უკვე მოიღუშა გენერალური დირექტორი.

- აბა, ეგ ლაპარაკი აქ არ გავიგო! შენც გემუშავა სკამისთვის. დაგიშალა ვინმემ? ეგრე ხო აღარ მოხვიდოდი. ოჯახი უნდა შექმნასო, შენზე რომ გავიგე, შენ არ უნდა ფიქრობდე ოჯახისთვის? სხვას ვის ამწყრალებ? მოუხადე ბოდიში ახლავე უფროსს და მეტი აღარ ვნახო, რომ შენ მას ასეთი ტონით დაელაპარაკო!

- ბოდიში მომიხდია. მხოლოდ როგორც უფროსი კაცისთვის, - ადგა და თავი დაუხარა.

- ახლა რისი ღირსი ხარ, თვითონ კარგად იცი შენ, - გენ-დირექტორიც წამოუდგა დისპეტჩერს, - მაგრამ ღიად გეუბნები, - სადგურის უფროსს მიაჩერდა, - ახლა ისეთმა ხალხმა მთხოვა ამისთვის, ორი კვირის მოსულს, რომ თვითონ მე აღარ ვიცი... თვითონ მე მაპატიეთ ამის მაგივრად და თვითონ მე გთხოვთ, რომ დავტოვოთ როგორმე ამჯერად. ეს შეუგნებელი, გაუგებარი არ ყოფილა, ვიკითხე აქამდე და იმედი ვიქონიოთ, რომ გაიგებს და დასკვნებს გამოიტანს, როგორც უნდა ისე იქნება, თუ არა. მერე თავის თავს დააბრალოს. პირველი მე მივიღებ ზომებს. მარტო გავიდოდა რამე ამის შემდეგ! აღარავინ აღარ ვიცი უკვე! - და კვლავ გახედა სადგურის უფროსს. ის მთლად ფერწასული იჯდა.

- რასა ბრძანებთ, შალვა გიორგევიჩ, როგორც თქვენ იტყვითო, - ჩაიბურდღუნა.

მოდი შენ და ამის შემდეგ რამე სხვა იფიქრე გაანებე ყველანაირ თავისუფალ სვლებს თავი. შეიქმნა დაწერილი თუ დაუწერელი კანონების ისევ მორჩილი. ისეთ მონაგრების გარეშე, მერე გენ-დირექტორმა ცალკე მიიღო ეს თავის რაიონელი და უთხრა: „წადი, იმუშავე, დამანებე თავი. მალე მანდ თქვენთან უნდა გავხსნათ ავტოსადგური და ყველაფერს თვითონ მიხედავთო!“ - და მიუბრუნდა ჩაწიხლულ სამსახურს ძველებური გაძლებით, ლოდინით. ოღონდ რაღაც სულ ერთი გახდა სადგურის უფროსთან ურთიერთობა. ის მიბრუნებული იყო მისგან და ესეც განურჩეველი მასთან.

ვითომ აპატია რამე? რას აპატიებდა ეს გულში დაჭრილი ახლა თვითგვემა გაანალიზებებს არ დაგიწყებდაო. ეს მხოლოდ ყოფნისთვის მოსული - მორჩა, დაუძინებელ მტრად გადაექცა ამ შემოღწეულს და დაუწყო ლოდინი თავის დროს, რათა მოეწყვიტა აქედან ეს „ყველაფრის მკადრებელი უტიფარი ცერბერი“. ერთხელ ისიც კი იკადრა, რომ სარესპუბლიკათშორისი გადაზიდვის საგზური ათხოვნინა ერთ თავის ახლობელ „შოფერს“, ვითომ ოჯახის გაჭირვებაში საშველად და მერე უნდოდა ეს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი დაეჭირა ხელში. წარმოგიდგენიათ, რას იხდიდა ამისთვის ეს კაცი? მაშინდელისთვის ერთიან ფულს - 500 მანეთს! საბედნიეროდ სახლში მისულმა ორმა კაცმა, როდესაც ისინი სწორედ მაშინ მოსულ სტუმრებისთვის გაშლილ პურმარილზე მიიყვანეს, უთხრეს, - სწორეს შვრები, რომ არ იძლევიო, - ეს მაშინ, აი, 100-ზე რომ ავიდნენ შეძლევაში და ეს უარს რომ ამბობდა. თან გულწრფელად ამყოფებდათ სუფრაზე ოჯახისთვის გამაბედნიერებლად შესწრებულთ. მაშინ უთხრეს მხარზე ხელის დარტყმით და ეგრევე წავიდნენ. კაი დრო იყო გასული ამის შემდეგ. მაშინ უთხრეს ამათ სიმართლე თავის ქალაქის ცენტრში შემთხვევით შეხვედრილებმა, შენი კაი კაცობა შეგვეცოდა და გაგეცალეთო. თორე იმას (სადგურის უფროსზე იყო ლაპარაკი), ძალიან უნდოდა ეგ შენი ნომრიანი ქაღალდი თავის ხელში დაჭერილი დაენახვებინა შენთვის. მაშ 500-სზეც არ წამოხვიდოდიო! ეგე, მაგდენი ჩამოდოო... რა ვიცი, რა ჯავრი ჰქონდა შენი, რო ემაგრე გიმეტებდაო... რო იცოდე, როგორ გამოგვჯორა მაშინ, ცარიელები რო მივედით

ყველაფერი იქეთ დარჩეს. სიცოცხლე თავისსას ითხოვს. ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. რისი დროც დაუდგა, იმას უდროოს. ახლა უკვე შეუდგა დაქორწინებას.

ქორწინების მერე თურმე ლენინგრადი ელოდება. იმისი თეთრი ღამეები ისეთი თეთრები იყვნენ, ისეთი მომხიბლავები. მერე აქეთ გადმოვიდნენ, ამასთან და დამთავრდა. დადგა კიდევ ერთი ოჯახი. საოცარი იყო. ახალი წელი დგებოდა. იმათ სადგურში გაიგეს ეს ამბავი და შენ წარმოიდგინე, ეტყობა ადრინდელი სუფრები, მხიარულებები გაიხსენეს და იქ დაპატიჟეს ახალდაქორწინებულები. ვინ იცის, როგორ წავიდოდა საქმე მაშინ, რომ წასულიყვნენ, მაგრამ პატარძალი გაჯიუტდა - რას ამბობთ. ახლა იმ სიშორეს რა გვინდაო.

ელოდებოდა და მალე აუხდა მოლოდინი სადგურის უფროსს - თბილისში ისევ შეცვალეს ამათი გაერთიანების გენ-დირექტორი. არადა შეცვალეს ისევ იმ დისპეტჩერის რაიონელით. ის წინამორბედი სულ წელიწადნახევარს იყო.

დისპეტჩერმა იფიქრა, ახლა კი მეშველაო, მაგრამ თურმე მთავარი განსაცდელი წინ ელოდა. წინა დირექტორის მომხრეები მივიდნენ მიღებაზე და უთხრეს:

- მოსატანი ხომ უნდა მოვიტანოთ, არსენიჩ, მაგრამ თუ ეს ბიჭი არ მოვიშორეთ აქედან, ვერაფერს გავაკეთებთო. არც მუშაობს მაინც და მაინც კარგად. წესიერად რო შემოწმდეს, მაგის დაყირავებას რა უნდაო. შალვა გიორგევიჩი აფარებდა ხელს და რა გვექნაო და ამან ეს დაიხვია, ინჟინერი დისპეტჩერად რატომ უნდა მუშაობდეს. ქვეყანას ამდენი უჯდება ინჟინრის სწავლება-მომზადებაო და მოიწვია თათბირი თავისი სამსახურების განყოფილებების უფროსების. ამ სადგურის უფროსს უთხრა, შენ გვერდზე გადექი. მარტო ისა თქვი - არ მემორჩილებოდაო და საყვედურზე გადაივლიო.

ეს დაჩაჩანაკებული ატეკაში დაბერებული კაცი ასე იწყებდა დალაგებას მაღლა ასული. თბილისში ატეკის დირექტორად ჰყავდათ. ერთ-ერთ შეკრებაზე მინისტრმა დედა შეაგინა. ამან კრების დამთავრების შემდეგ წაითამამა და მინისტრს შეეკითხა: „თეიმურაზ ნიკალაევიჩ, კრებაზე რომ გვიბრძანეთ, დედაჩემი აქ ჩამოგიყვანოო თუ იქ ჩამობრძანდებითო და ეს რა მითხრა ამ გათახსირებულმაო!“ ის დღე და დღე სულ ეცინებოდაო იმის დანახვაზე და აჰა, ისეც სულ დირექტორობაში მყოფი მინისტრის უერთგულესი ახლა მართლა კი შეხანებული, მაგრამ უკვე გენ-დირექტორად გადმოიყვანა აქ, თუმცა რაღაც უცნაურ დაწესებულებაში. ძალიან საინტერესო სამუშაოაო, უთხრა ახლობელს როცა ეუბნებოდა რისი გენერალური დირექტორი იყო, თანაც შეეკითხა ამ თავის ცოლის სოფლელს - რა ხდება თქვენთან, გაიგეს „არსენიჩი“ გენ-დირექტორად რო გავიდაო?

გამოვიდოდა ახლა ეს ამაგდარი გარეთ შესვენებაზე წელზე ხელებშემოწყობილი, მშვიდი გამომეტყველების გამარჯვებული და რომელიმე ნაცნობს რომ მიესალმებოდა, საჭმელზე დავპატიჟოო, ეტყოდა. იმ ცხოვრების კაცი, თავისი გზა რომ გაიარა თავის ამაღლებამდე. ასე რომ არის და ასე იქნება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო ახალმა დირექტორმა დამსმენებს დაუჯერა, მართალ კაცს არ მოუსმინა და მოხსნეს დისპეტჩერი. დიდ კაცთან პატარა კაცს სიმართლე არც ახლა გადის.

# ჩვენი ენა ქართული

ქართული ენაში ბევრია ე. წ. ნასესხები, ანუ სხვა ენებიდან შემოსული და დამკვიდრებული სიტყვა. ერთი ასეთი სიტყვათაგანია „ოჯახი". ცნობილია, რომ „ოჯახი" თურქულიდანაა შემოსული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში(ერთტომეული, თბილისი, 1986) ეს სიტყვა ამგვარად არის განმარტებული: „ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფი (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები... )"

„ოჯახი" საკმაოდ გვიან არის შემოსული ქართულ ენაში. ამ სიტყვას ვერ ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ლექსიკონზე მუშაობა დიდმა ლექსიკოგრაფმა 1716 წლის 20 იანვარს დაასრულა.

სიტყვა „ოჯახი" ქართული სამართლის ძეგლების ტექსტებში პირველად გამოჩენილა 1774 წლით დათარიღებულ „მორიგი ლაშქრობის განაჩენში": „იყვნენ ერთ სახლსა და ო ჯ ა ხ შ ი"(გიორგი თუმანიშვილი(უმცროსი), ქართული სამართლის ძეგლების ტექსტებში სიტყვა "ოჯახის" პირველად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, სამართალი 5-6, 2002).

მაშასადამე, სიტყვა „ოჯახი" ქართულ ენაში მე-18 საუკუნემდე ნამდვილად არ ჩანს. აბა რა სიტყვას ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფის აღსანიშნავად? ეს იყო „სახლი". „სახლი", რა თქმა უნდა, შენობას, ნაგებობასაც აღნიშნავდა, მაგრამ აღნიშნავდა ასევე ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფსაც. ეს რომ ასეა, ამას გვიმოწმებს, უპ. ყოვლისა, ბიბლიის წიგნები. უეჭველად „ოჯახის" მნიშვნელობა აქვს „სახლს" ამ წინადადებაში:"ჰრქუა იაკობ ს ა ხ ლ ს ა თჳსსა და ყოველთა მისთანათა"(დაბ. 35, 2). "სახლი" „ოჯახს" აღნიშნავს ამ შემთხვევაშიც:"ჰრწმენა მას თავადსა და ყოველსა ს ა ხ ლ ს ა მისსა"(იოან. 4, 53), ანუ ირწმუნა მან და მთელმა სახლმა(ოჯახმა)მისმა. გავაგრძელოთ: "შე- რაჲ-ხჳდოდით ს ა ხ ლ ს ა მას, მოიკითხეთ იგი(შენობა უნდა მოიკითხონ?) და თქუთ: მშჳდობაჲ ს ა ხ ლ ს ა ამას! და უკუეთუ ს ა ხ ლ ი იგი ღირს იყოს(შენობა უნდა იყოს ღირსი?), მოვიდეს მშჳდობაჲ თქუენი მას ზედა !"(მათე 10, 12-13); „და ვითარცა ნათელ-იღო მან და ს ა ხ ლ მ ა ნ მისმან, გულოცვიდა და იტყოდა"(საქმე მოციქულთა 16, 15). ცხადია, მოინათლა ოჯახი და არა შენობა.

„სახლი" აღნიშნავდა ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც:"ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და ს ა ხ ლ ი ს ა მაოჴრებლად სახელ -სდებდა მას"(„წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი"). წმიდა შუშანიკმა ქმარი მიატოვა, ოჯახი დაანგრია. ამაში ადანაშაულებს ვარსქენი ცოლს და „სახლის მაოჴრებელს", ანუ ოჯახის დამანგრეველს უწოდებს მას. "ოჯახს" უნდა აღნიშნავდეს „სახლი" სხვა ეპიზოდშიც:"ესევითარი ს ა ხ ლ ი მშჳდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა", —ამბობს ვარსქენის თანამზრახველი სპარსი. "ს ა ხ ლ ი მშჳდობისაჲ", ანუ ოჯახი, სადაც მშვიდობა სუფევდა, შესაბრალისი, "საწყალობელი" გახდა. ძნელად საფიქრებელია, რომ აქ შენობა იგულისხმებოდეს, შენობა ხდებოდეს"საწყალობელი". „სახლი" „ოჯახის" მნიშვნელობით გვხვდება"გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც". გაბრიელ დაფანჩულის მეუღლე მიმართავს მამა გრიგოლს:"საღუაწი სულიერთა შვილთა შენთაჲ უზრუნველ იყოს შენგან, რამეთუ არა დაგაკლდეს ს ა ხ ლ ი ს ა გ ა ნ ჩუენისა" — ჩვენი ოჯახი იღვაწებს ხორციელი საღვაწით შენი სულიერი შვილებისთვისო.

„ვეფხისტყაოსანიც" გვემოწმება, რომ "სახლს" „ოჯახის" მნიშვნელობა ჰქონდა. ჭაშნაგირის დაქადნებით შეშინებული ფატმანი გოდებს:"ბოლოდ ვექმენ ს ა ხ ლ ს ა ჩემსა", ანუ დავღუპე ჩემი ოჯახიო. მოკალი ის კაცი და მე და ჩემი ოჯახი გადაგვარჩინეო, ავთანდილს ეუბნება—"წადი, მოკალ მალვით ღამით, მე და სრულად ს ა ხ ლ ი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით".

„სახლი" „ოჯახის", "კომლის" მნიშვნელობით დარჩენილა ყიზლარსა და მოზდოკში მცხოვრები ქართველების დიალექტში(ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984). ეს ქართველები კახეთიდან, ხევიდან, ქართლიდან და იმერეთიდან 1724, 1795 და 1860 წლებში გადასახლებულან ყიზლარსა და მოზდოკში. ჩანს, გადასახლებულან მანამ, სანამ ქართულ ენაში „სახლი" დაკარგავდა „ოჯახის" მნიშვნელობას. დღეს იმათი შთამომავლები რუსულად მეტყველებენ, ქართული აღარ ახსოვთ.

ძველ ქართულ ტექსტებში „სახლის" სინონიმებად გვხვდება „სახლეულნი", "სახლეული". "სახლეული" იგივეა, რაც „ოჯახის წევრები"(ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973; ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1986). თუ ადიშის ოთხთავში ვკითხულობთ:"ჰრწმენა მას თავადსა და ყოველსა ს ა ხ ლ ს ა მისსა", ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში შესაბამის ადგილას წერია:"ჰრწმენა მას და ყოველთა ს ა ხ ლ ე უ ლ თ ა მისთა". ასევეა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელთა რედაქციებში:"ჰრწმენა მას და ყოველთა ს ა ხ ლ ე უ ლ თ ა მისთა"(იოან. 4, 53). მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც. ჯრუჭ-პარხლის ოთხთავშია:"შემიწყნარონ (მიმიღონ) მე ს ა ხ ლ ეუ ლ თ ა მათთა"(ლ. 16, 4);ექვთიმე მთაწმიდელის რედაქციაშია:"შემიწყნარონ ს ა ხ ლ ე უ ლ თ ა მათთა"(ლ. 16, 4);გიორგის რედაქციაში—"შემიწყნარონ მე ს ახ ლ თ ა მ ა თ თ ა"(ლ. 16, 4). კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია.

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში "სახლი", „სახლეულები" იცვლება „სახლობით". ეს სიტყვა ამ ფორმით ძველ ქართულში არ შეგვხვედრია. ნიკოლოზ ბარათაშვილი "ოჯახის " მნიშვნელობით "სახლობას" ხმარობს:"დილასა ადრე მოვალს მსაჯული ქსნის ხეობაში დაფიქრებული, ვიდრემდის იყო შიშიანობა, მას აქ ესახლა თავის ს ა ხ ლ ო ბ ა"(„ბედი ქართლისა"). ნიკოლოზ ბარათაშვილთან გვხვდება "ოჯახიც": "ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია" (ზაქარია ორბელიანისადმი, 1844 წელი). გიორგი ერისთავის "გაყრაში"ანდუყაფარი მოთქვამს:"ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო, შემდგომ გაყრისა ვის დავენახვო?"(„გაყრა", 1849 წელი).

როგორც ჩანს, ქართულ ენაში "ოჯახი" თანდათან იმკვიდრებს ადგილს და დადევნის "სახლს", "სახლეულს", "სახლობას".

ილია ჭავჭავაძის ენაში „ოჯახი" უკვე მტკიცედ ფეხმოკიდებული სიტყვაა:"მართომ ოჯახი როგორ მოვმართო, თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?"( "რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი"... ); "კაი მადლიანი დედაკაცია კაი ო ჯ ა ხ ი ს ბურჯია"("კაცია-ადამიანი?!"). მაგრამ ილიას ენაში გვხვდება ს ა ხ ლ ო ბ ა ც:"ამ თქვენის ქუჩის ბოლოს ერთი ღარიბი ს ა ხ ლ ო ბ ა არის";"მაშინვე გამოვტრიალდი, ვიპოვე ის ს ა ხ ლ ო ბ ა"(„გლახის ნაამბობი").

აკაკის ენაშიც იგივე მდგომარეობაა": "გლეხის ო ჯ ა ხ ი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია;" ო ჯ ა ხ შ ი არავინ დარჩენილა, გარდა ერთი ოთხმოცდაათი წლის მოხუცისა" („ჩემი თავგადასავალი"). აკაკის ენაშიც ასევე გვხვდება „ს ა ხ ლ ო ბ ა:" აბაშიძის ს ა ხ ლ ო ბ ა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ო ჯ ა ხ ი აკლებული" („ჩემი თავგადასავალი"). აქ „სახლობას", ცხადია, სახლეულების, ოჯახის წევრების მნიშვნელობა აქვს, "ოჯახს" კი—უფრო სახლ-კარის, ქონების.

ვაჟა ფშაველას ენაში გვხვდება „ოჯახიც" და „სახლობაც": "ჩემს ო ჯ ა ხ ს პასუხს რით აძლევთ?"; "როცა გასცდება ჩემს ო ჯ ა ხ ს, იქ მოეპყარით ავადა" („სტუმარ-მასპინძელი"); "შენი ს ა ხლ ალ. ჭინჭარაული ვაჟა ფშაველას მცირე ლექსიკონში „სახლობას" ამგვარად განმარტავს:ოჯახი, ოჯახის წევრები. ასევეა განმარტებული ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ერთტომეული, თბილისი, 1986).

ალ. ყაზბეგთან გვხვდება „ოჯახიც" და „ოჯახობაც"ერთი და იმავე მნიშვნელობით:"დაემორჩილა თავის ხვედრს და ერთგული ცოლი, ო ჯ ა ხ ი ს მომვლელი და პატივის დამცველი დედაკაცი შეიქნა"; "სულის მობრუნება მხოლოდ ქართლში-ღა შაეძლო, სადაც იპოვიდა რომელსამე გულკეთილს ო ჯ ა ხ ო ბ ა ს"(„მოძღვარი"). "სახლობაც" მოიძებნა ალ. ყაზბეგის ენაში:"ნუნუს ს ა ხ ლ ო ბ ა შეიყარა სამყოფო სახლში";"სიკვდილის ჟამს თავის ს ა ხ ლ ო ბ ი ს ცრემლიც კი არა ღირსებოდა"(მამის მკვლელი"). გავიხსენოთ „ხევისბერი გოჩა":"მამა ეუბნებოდა: "გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო", და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთ პირს მთელს ს ა ხ ლ ო ბ ა სთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ო ჯ ა ხ ო ბ ი ს გამაპატიოსნებელი თუ დამამცირებელი არის". "სახლობას" აქ უფრო გვარის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ოჯახობას კი-ოჯახის. შესაძლოა, "სახლს", „სახლობას", უფრო ფართო გაგებით, გვარის მნიშვნელობაც ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ჩვენს ენაში ჯერ კიდევ შემორჩენილი „სახლიკაცი", რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასე განიმარტება:"მამაკაცი, რომელიც იმავე ოჯახს ან გვარს ეკუთვნის(ძმა, ბიძაშვილი, მოგვარე)".

ასე რომ, ახალ ქართულში „სახლი", "სახლეულნი", როგორც ჩანს, „სახლობით" შეიცვალა, მაგრამ"ოჯახმა" მოუსწრო და შეავიწროვა. ბოლოს სრულადაც განდევნა. ასე დავივიწყეთ ქართული სიტყვები—სახლი, სახლეულები, სახლობა— და დავამკვიდრეთ უცხო წარმომავლობის „ოჯახი". თუ ენას სჭირდება უცხო სიტყვა, უნდა მიიღოს, ასევე ხდება სხვა ენებშიც, მაგრამ „ოჯახი", ისევე როგორც ბევრი სხვა უცხო სიტყვა, ჩვენ საჭიროების გარეშე მივიღია. თუ მოვინდომებთ, სულ ადვილად შეიძლება აღვადგინოთ, გავაცოცხლოთ, სამზეოზე გამოვიტანოთ მივიწყებული მშვენიერი ქართული სიტყვები და დავუბრუნდეთ ჩვენს წიაღს. მოვეფეროთ, გადავარჩინოთ ის, რაც უეჭველად ჩვენია. ამის ნაცვლად ჩვენ დღესაც ისევ ფართოდ ვუღებთ კარს ახალ-ახალ სიტყვებს, ძირითადად, ინგლისურიდან შემოსულს, და ვკლავთ მშობლიურს.

პირადად ჩემთვის „სახლი", „სახლეული", „სახლობა" ბევრად უფრო ძვირფასი, ახლობელი, თბილი და ემოციურია, ვიდრე „ოჯახი", და დასაკარგავად მენანება.

*გულისა ჩხაიძე*



## ავთანდილ მეგრელიშვილი - 80

**80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ავთანდილ ბარუსის ძე მეგრელიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ბატონო ავთანდილ!**

ჩვენო ერთგულო და ნაცადო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზიის ერთ-ერთ ჩინებულ წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

1958 წელს გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში" გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „დედაქალაქს". მას შემდეგ ექვსი ათეული წელი გასულა და ამ წლებმა ყველას დაანახა, რომ სწორედაც გულის ფიცარზე გაწერიათ ის იდეალები, აქამომდე რომ მოიყვანა ჩვენი ბედკრული ქვეყანა და იმ მცირერიცხოვან შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნებით, ჩუმად, უხმაუროდ, პატიოსნად რომ ემსახურებიან მშობელ ქვეყანას.

ჩინებული საბავშვო პოეტი ბრძანდებით. თქვენი პოეტური კრებულები („ხელს აღარ ვახლებ იასა", „ისწავლე და იმამაცე", „ნაკადული ვარ, პატარა", „საქართველოს ვხატავ ლამაზს", რჩეული) სილაღითა და მახვილგონიერებით, მუსიკალურობით და ზომიერად გამოყენებული ხალხური ინტონაციებით გამოირჩევა. ეს კრებულები დიდი ხანია, რაც შეიყვარეს ნორჩმა მკითხველებმა, შეიყვარეს იმიტომ, რომ მათი გულების მესაიდუმლედ მიგიჩნიეს. მართლაც რომ სრულად გაქვთ გასიგრძეგანებული საბავშვო მწერლის დანიშნულება და ამიტომაცაა, რომ თქვენი ლექსები პატარებს სიკეთის, პატიოსნების, თანადგომის და თანალმობის ფასს ასწავლის, ზრდის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტებად.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, სომხურ, რუსულ ენებზე.

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა დიდი სიყვარულითა და რუდუნებით გამოსცემდით საყმაწვილო გაზეთ „პატარა ქართველს"...

სად აღარ გიმუშავიათ, ჭიათურის მაღაროებშიც და მშვენებლობებზეც, პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგიც ყოფილხართ და საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერიც. დიდხანს მოღვაწეობდით საქართველოს მწერალთა კავშირში და თქვენი კოლეგების სიყვარული დაიმსახურეთ, როგორც გულმართალმა და უწესიერესმა პიროვნებამ.

დაჯილდოებული ხართ შიო მღვიმელისა და მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიებით.

ჩვენო ავთანდილ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*



## ნანული (ნანა) გუნია - 70

**70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ნანული მიხეილის ასული გუნია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ქალბატონო ნანული!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები მოწიწებით მოგესალმებიან სათნოებით და კეთილშობილებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 წლისთავს.

1956 წელს სრულიად ნორჩს გამოგიქვეყნათ აბაშის რაიონულმა გაზეთმა „საბჭოთა სოფელმა" პირველი ლექსი „გიმღერით, ახალო წელო" და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „ამაღლებულნი ერისთვის", „საქართველოს მზეს ვფიცულობთ ქართველნი", „ჩვენ კვლავაც ერთად დავდგებით", „იქაც დაგადგეთ ნათელი", „ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება", „სულის ამოძახილი", „გზა მარადისობის", „დედის გარეშე განვლილი დღეები", „უფალი, დედა და სამშობლო", „მინდა მუდამ შენ გიმღერო, დედა" ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობს. ეს მოწონება კი იმითაა განპირობებული, რომ მათ ავტორს, სინაზითა და სინატიფით გამორჩეულ მანდილოსანს მართლაც რომ გულის ფიცარზე აწერია უფალი, დედა და სამშობლო. ამ ტრიადას ეთაყვანება და მისი ლექსის თითოეული პწკარი სწორედ სამების ერთგულებითა და სიყვარულითაა გაპოხიერებული.

როგორ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ლექსების ის ციკლები, რომლებიც დედას მიუძღვენით. ამ ლექსებმა ხომ ყველას კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ როგორ უფრთხილდებით და ესათუთებით თქვენთვის უძვირფასესი მშობლის ხსოვნას და თანამოქალაქეებსაც ჩინებულ მაგალითს აძლევთ იმისას, თუ როგორ უნდა იცავდნენ უფლის მიერ ნაბოძებ ათ მცნებას...

ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი ბრძანდებით და რა გასაკვირია, თუ თქვენს მშვენიერ სოფელ მაცხოვრისკარში, აბაშის რაიონში რომ მდებარეობს, თაოსნობდით მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის მშენებლობას და 17 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაგიმუხლავთ, სანამ ეკლესიის ზარებმა სრულიად საქართველოს არ ამცნეს ახალი ეკლესიის მოვლინება. სოფელსაც ხომ თქვენი დიდი ძალისხმევით დაუბრუნდა მისი ისტორიული სახელი. მშვენიერი წიგნი უძღვენით ამ მნიშვნელოვან მოვლენებს.

პედაგოგიკის მეცნიერების აკადემიური დოქტორი და პროფესორი ბრძანდებით, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 12 წიგნისა. არჩეული ხართ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას", საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსად, აბაშის საპატიო მოქალაქედ.

ქალბატონო ნანული!

კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი დიდი პატივისცემა და სიყვარული, ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი, ბოლომდე დახარჯულიყავით მშობელი ერის სამსახურში.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

## ნანული (ნანა) გუნია

### უფალს!

ჩემი ქმედებით, სიტყვით თუ საქმით
ვცდილობ, რომ მუდამ გახარო,
ყოვლადძლიერო, ყოვლადმოწყალევ,
შენ, შემოქმედო სამყაროს.

შენს სამსჯავროზე წარდგომა ვიცი,
არავის რომ არ აგვცდება,
შენდობას ვითხოვ, თუ ვინმეს მიმართ
განკითხვის სიტყვა წამცდება.

რაც დამრჩენია წლები ვეცდები,
სიტყვა, ქმედება გავთვალო,
რომ მე ცოდვილი, დიდო უფალო,
შენს ცოდვილ შვილად ჩამთვალო.

### რა უცებ გასულა

შვიდჯერ ათი წელიწადი,
ეჰ, რა უცებ გასულა,
ბევრჯერ მქონდა, დღესაც მიწევს
შებრძოლება ავსულთან.

ველარ ვგუობ უზნეობის
ვერანაირ სახეს და
ვუფრთხილდები მამა-პაპის
ტრადიციებს სახელისა.

ვცდილობ ჩემი ცხოვრების გზა
ღვთისთვის სათნოდ განვლიო
და სასმისი უკეთურთა
ჭიქიდან არ დავლიო.

ენას, რწმენას ვეფერები
საქმითა და ლექსებით,
ხან ხმამაღლა და ხან ჩუმად
მამულს ვეალერსები.

მუდამ ვცდილობ, რომ ქართველებს
ერთმანეთი გვიყვარდეს,
სულ ვებრძოდი, დღესაც ვებრძვი
უგნურთ ხროვას, ჭილყვავებს.

ვინც ჩვენს მამულს, ენას, რწმენას
ხელყოფდა, კვლავ ღალატობს,
მერე რა, რომ ასაკში ვარ,
არ დავუთმობ არასდროს.

ვინც შეხედავს ჩემს სამშობლოს
სისხლჩამდგარი თვალებით,
მერე რა, რომ ქალი მქვია,
თუ დასჭირდა ჩემს სამშობლოს
დღესვე ვენაცვალები.

### გზას ვირჩევ ვიწროს

არსებობს ცოდვა, არსებობს მადლი,
არსებობს ცუდი, არსებობს კარგი,
არსებობს ეშმა... არსებობს ღმერთი,
გზა არის ორი... და არაერთი,
ეშმას გზა ფართო და დამღუპველი,
უფლის გზა ვიწრო... ჩვენ სულთა მხსნელი.
ღმერთმა არჩევის გვიბოძა ნება...
საგზლად მოგვმადლა თვის ათი მცნება...
და უთვალავი ვინმე და რამე...
ეს იყო დღე თუ ეს იყო ღამე,
უფალმა შექმნა ამ სამყაროში,
სხვადასხვა ადგილს... სხვადასხვა დროში
მე არ ვცნობ ეშმას... მე უფალს ვიცნობ!
და ამიტომაც გზას ვირჩევ ვიწროს!

### მამულს!

თუკი ამქვეყნად ვარსებობთ,
თუ ვარსებობთ და ვსუნთქავთ,
უნდა გვესმოდეს სამშობლოს
და ჩვენი ერის სუნთქვა.

მათი ჭირი და ვარამი
უნდა მიგვქონდეს გულთან,
მალამოდ უნდა დავედოთ
მათ იარებს და წყლულთა.

მტერს უნდა დავხვდეთ მტრულად და
ვრეკდეთ განგაშის ზარებს,
მოყვარეს უნდა ვუღებდეთ
ამ ჩვენი გულის კარებს.

სიკვდილმდე უნდა ერთგული
დავრჩეთ მამულის, რწმენის,
ქრისტე მაცხოვრის მცნების და
ჩვენი მშობლიურ ენის.

მავანმა უნდა იცოდეს
არასდროს შეგვეცილოს
და თუ დავჭირდით სამშობლოს
ზვარაკად შევეწიროთ.

### გაგვიბრწყინდება კვლავ საქართველო!

დღეს ყველაფერი გაუფერმკრთალდა,
„ბედნიერება" - ეს სიტყვა გაქრა,
მძლავრობს სიცივე, ხარობს ბოროტი
და სიხარულიც თვალებში ჩაქრა.

ხარობს ბოროტი, თუმც დროებით
არის სიცილი, მისი ხარხარი,
ჩვენ ის ერი ვართ, ვისაც არასდროს
არ დაუყრია ფარ-ხმალი.

ჩვენ ის ერი ვართ, ვისაც სიკვდილის
ბოლო წუთამდე გაგვქონდა ლელო,
უფლის მადლით და უფლის წყალობით
გაგვიბრწყინდება კვლავ საქართველო!

### მოგიწოდებთ ყველას

სანამ ძარღვში სისხლი გვიჩქეფს,
სანამ გული გულობს,
მამულს, ენას, რწმენას ჩვენსას
უნდა ვუერთგულოთ.

მტერს, მოყვარეს ყველას თვისი
შესაფერად დავხვდეთ,
უცხო თესლის გასაკიცხი
არასდროს არ გავხდეთ.

გავუფრთხილდეთ წინაპრების
სისხლით მონაპოვარს,
მამულს ხელში ნუ ჩავუგდებთ
ვიღაც მავან მსტოვარს.

ნუ გავყიდით მიწის თუნდაც
გოჯს ვიღაცა სხვაზე,
რას ვუტოვებთ ან სად ვტოვებთ
შვილებს, ვფიქრობთ მათზე?

ყველას დიდი დაფიქრება,
დიდზე დიდი გვმართებს,
ველარ ვგუობ ჩვენს მიწაზე
რკინის მავთულხლართებს.

დიდი კრძალვით, სიყვარულით
მოგიწოდებთ ყველას,
თუ დავდგებით ერთად, შევძლებთ,
საქართველოს შველას.

### თუ კაცი ხარ, კაცად უნდა დარჩე
(ვისაც ეხება)

თუ კაცი ხარ, კაცი უნდა იყო,
სატანამ რომ ვერაფერი გიყოს,
თუ კაცი ხარ, კაცად უნდა დარჩე,
აღარ უნდა აწყენინო გამჩენს.

არასოდეს არ განუდგე მოყვასს,
სამდურავი შენზე ბევრჯერ რომ თქვას,
ეცადე, რომ იქონიო თმენა,
სულ გახსოვდეს ქრისტე ღმერთის მცნება.

შურს და ბოღმას მიუხურე კარი,
სიყვარულში იყავ მტკიცე, მყარი,
სიკეთის ქმნა გაიხადე წესად,
დარჩი სინდის და ნამუსის მწყემსად.

### გულს სევდამ დაისადგურა

მადლობა უფალს სიკეთე,
რაც მიბოძა და მარგუნა,
შენდობას შევთხოვ... შენ მერე
გულს სევდამ დაისადგურა.

რაც შორეთს გადაინაცვლე
აღარ მშორდება ნაღველი,
თავზე ბევრი რამ გადამხდა,
ეჰ, რამდენი მაქვს სათქმელი.

ვერავის ვუმხელ ჩემს ფიქრს, დარდს,
გულში დაგროვილ სევდას და
როს ძლიერ გამიჭირდება
ისევ შენ გიხმობ, დედასა.

შენს სურათს მივუჩოჩდები
თავსასთუმალთან დადებულს,
ვესათუთები შენს სახეს
და სითბოს შენგან ჩადებულს.

ეს სითბო არის, დღემდე რომ
მასულდგმულებს და ძალას მგვრის,
უფლის მადლით და წყალობით
არ დავეცემი ალბათ, ძირს.

ჩემი წუხილი, უფალს ვთხოვ,
შენს სულს უქციოს გალობად,
ჩემს თავდადებულ დედიკოს
საქვეყნოდ გიხდი მადლობას.



## მაია კახიძე

### შეთვალული

დღისით ხელის ცეცებით,
გეძებ ღამურასავით...
დამიღონდნენ მერცხლები,
აიშალნენ ცასავით...

ცრემლი კარგი ვინმეა...
განუგეშებს, დაგათრობს,
ცხადში რაც გენატრება,
სიზმარშივე გაგათბობს.

მერე, როცა მოვკვდები,
(ყვავილებში გავჩუმდე?),
იქ რად მინდა ვარდები,
მოდი, ახლა მაჩუქე...

დრომ ტკივილის წამალი
ველარ გამოიგონა...
სევდა შენად ნავალი,
შეთვალული ეგონა...

### მე შენ მიყვარდი დაბადებამდე

მე თბილისი მჭირს, რაც დავიბადე,
ხელჩაკიდებულს მოვყვები ნაპირს,
ჩემამდე მამას უყვარდა ცამდე,
იქამდე კიდევ ბებიას დაღლილს...

რაც დავიბადე, მე თბილისი მჭირს,
ჰო, თბილისი მჭირს, მისი მთა-ველი,
ეს სიყვარული ვაჩუქე ჩემს ბიჭს,
მტკვარი, მთაწმინდა და რუსთაველი.

მე თბილისი მჭირს, ბრძენი მეფენი,
რად მიფრიალებს ფიქრი საკინძეს?
მე ხოხბის ყელზე დავთვალე დღენი,
გავუმიჯნურდი კეთილ მასპინძელს.

რაც დავიბადე, მე თბილისი მჭირს,
არ მსურს დამიწყდეს აპეურები...
ხან მიხარიხარ, ხან რა ჭირი გვჭირს,
ზოგჯერ რა სევდით გადის დღეები.

რა ვქნა, მე მაინც მიყვარხარ, ჩემთ-
ვის,
რომ შემეყარე, შენც კარგად იცი...
მე ბევრი მინდა გავილო შენთვის,
შემომეხვიე, გიყვარვარ, ვიცი...

მე თბილისი მჭირს, რაც დავიბადე,
შემინდე, თუკი გწყენია რამე...
მე შენ მიყვარდი დაბადებამდე,
მე მოგიხატავ ჯადოსნურ ღამეს.

### შენნაირად ველარ შევიყვარე

- შენნაირად ველარ შევიყვარე...
ძველი ვნება თითებს შუა იწვის,
ჩუმი სევდით დასნეულდა მთვარე,
რად არ მიკვირს სიბორგილე მიწის?

შვიდი სიმი ჩამომიწყდა ერთ დღეს,
შვიდი ლოცვა გადავწერე ცხადში...
გამოვაცხობ ანარატის თეთრ კვერს
და მოვაპნევ ფიქრებს ცეცხლაქარში.

მე ისეთი სიყვარული მსურდა,
მაგ თვალების ათინათის ტევრში,
უბის ჭრილში ჩაგყვებოდი თუნდა,
ჩაგიყვანდი მონატრებულ მკერდში.

ვიცი, სევდა შემომიტვრევს კარებს,
რა სხვაგვარად მათამაშებს ბედი
და მუხლებზე შემოხეულ დარდებს,
ავდგები და სულ ყველაფერს ვეტყვი.

- შენნაირად ველარ შევიყვარე...
ვერ დავწერე ჩვენი ინდი-მინდი,
- მე ყოველდღე მეშინია ღამე...
დავრჩით მარტო მე და ეზოს შინდი.

### ბარათებს ვავლებ ბოლო გვირისტებს

ვბერდები-მეთქი... რამ გამახსენა?
რამ გამახსენა ვარდის ფურცლები?
ბინდისრტოება ჩიტების ფრენა...
ვიცი, ფიქრებში გარდავიცვლები.

ძველთა ღამეთა
შემოძარცვა მთვარემ ფოთლები,
მზე გაბრუნდა და ჩუმად გაჰყვა
ვნების ქარავანს,
ვმარტოხელობ და
ცრემლისოდენ ბარათებს გიწერ,
დავასრულებ და
გამოვატან სულის არაზანს...

მღვრიე ნაღველით ამევსება
დარდის საყდარი...
სევდის საფლავზე გავაცილე
მკვდარი ოცნება,
ცხადში, სიზმარში შემოაცვდა
ფიქრს ფიქრის დარი,
მაცთური, ძველი, ეგ თვალები
როგორ მეცნობა...

ნეტავ, სევდისგან რად არ ვიცლები?
ეეჰჰ... მარტოსულმა ამოვიტირე...
მე ჩემს ფიქრებში გარდავიცვლები,
ბარათებს ვავლებ ბოლო გვირისტებს.

ვბერდები-მეთქი... რამ გამახსენა?!



## ნანა ღვინეფაძე - 90

**90 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ნანა სევერიანის ასული ღვინეფაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ძვირფასო ქალბატონო ნანა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან მხცოვან, ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1968 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა თქვენი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, მხატვრული თარგმანები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს პერიოდიკაში. გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „მთაო", „ფიჭვი გაზაფხულს ელოდა", „მარჩბივი", „ტირიფი", „ერგასი", „ამორძალის ავტოგრაფი" და სხვები მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, საოცარი სიწმინდითა და კდემამოსილებით იპყრობს, რომლის მიღმაც საოცარი ვნებები და ზმანებები ბობოქრობს. ამ კრებულებში შესული ლექსებიდან ჩვენს თვალწინ ამოიზრდება ხოლმე ჭეშმარიტად პოეტური სულის მქონე შემოქმედი, სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის მოვლენილი შემოქმედი, რომელიც ბედისწერას ულვთოდ უწამებია, უტანჯია, მაგრამ ვერ დაუჩოქებია. ისიც თვრება მოგონებებით და გაზაფხულის ნექტარით და ხილვებში ხან იმ მენელსაცხებლე დედათა შორის ამოყოფს ხოლმე თავს, მაცხოვრის აკლდამისკენ რომ მიემართებიან იესოს თაყვანის საცემად, ხანაც კორინთოს ნანგრევებში დაეძებს მედეას, რათა გამოიხსნას სიძულვილისა და ღალატის ხლართებიდან... უმშვენიერესი, თუმცა ბედკრული ქვეყნის შვილს ვერაფრით გაგირკვევიათ, დიდგორის დაჩეხილ, დასისხლულ მკერდზე როგორ ამოდის მწვანე ბალახი...

თქვენი ლექსები ითარგმნა ფრანგულ და რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებულად თარგმნეთ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ფეოდორ ტიუტჩევის, ალექსანდრ ესენინის, კორნეი ჩუკოვსკის, ანა ახმატოვას ლექსები.

არაერთი რეცენზია თუ სტატია უძღვენით ქართული თეატრის განვითარების პრობლემებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მონოგრაფიული გამოკვლევანი „ეფრო კლდიაშვილი – პირველი ქართველი მსახიობი ქალი" და „აკაკი წერეთელი — თეატრალური კრიტიკოსი"...

არაერთი მხატვრული ნარკვევი თუ პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნეთ ათწლეულების განმავლობაში. თქვენი ჟურნალისტური კრებულები „გზადაგზა" და „მოწინავე მეაბრეშუმეები" ქართული ჟურნალისტიკის მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

როგორ შეიძლება, განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა არ გამოვხატოთ თქვენდამი იმ დიდი და სკრუპულოზური შრომის გამო, რომელიც თქვენ გასწიეთ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ზვარაკად შეწირული მარო მაყაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად. თქვენს მიერ შედგენილი და ცალკე წიგნად გამოცემული კრებული „შარავანდედი", რომელშიც მარო მაყაშვილის დღიურებიც შევიდა, „ქართული მწერლობის სინდისის" (როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ) პოეტ კოტე მაყაშვილის ჯვარცმული ქალიშვილის ხსოვნის ჭეშმარიტ ძეგლს წარმოადგენს.

ათწლეულების განმავლობაში ეწეოდით ნაყოფიერ ჟურნალისტურ საქმიანობას, ისეთ ცნობილ გაზეთებში, როგორიც იყო „გამარჯვება", „ახალგაზრდა კომუნისტი", „სახალხო განათლება", „სამშობლო", „კომუნისტი", „საქართველოს რესპუბლიკა"... მუშაობდით საქართველოს კულტურის სამინისტროს რედაქტორად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ღირსების ორდენით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია, დავით და სერგო კლდიაშვილების მედალი — „ძელქვის ფოთოლი", საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ჯილდო — „ოქროს ფრთა", საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

ქალბატონო ნანა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სათნოებითა და სიკეთით გამორჩეულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საესავი სამშობლოს გაბრწყინებას.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*



# ზეზვა მედულაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზეზვა ნიკოლოზის ძე მედულაშვილი, რომლის სახითაც ქართულ მწერლობას, სრულიად საქართველოს ჰყავდა დიდ ეროვნულ საქმეს შეჭიდებული დიდებული ლიტერატორი, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში პირველხარისხოვანი თარგმანებით ანებივრებდა დახვეწილი გემოვნების მქონე ქართველ მკითხველს და მას მსოფლიო ლიტერატურის შედევრების მადლს აზიარებდა. არაერთი უცხოური ენის ჩინებული ფლობა, აზროვნების ფართო თვალსაწიერი, მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი ლიტერატურული ინტერესები ზეზვა მედულაშვილს დიახაც რომ ქართული კულტურისა და მწერლობის დესპანად აქცევდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც იგი მუდამ სასურველ და საპატიო სტუმრად მიიჩნეოდა...

ზეზვა მედულაშვილი დაიბადა 1939 წლის 20 დეკემბერს იმდროინდელი კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდაში. 1957 წელს, არაშენდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წელს დაასრულა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ზეზვა მედულაშვილი მუშაობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრის ლაბორანტად და კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა არმენოლოგიურ დისციპლინებში. 1970-1973 წლებში იყო იმავე კათედრის ასპირანტი. 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროს მეცნიერ-რედაქტორად მუშაობდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართული მთარგმნელობითი სკოლის წინსვლასა და განვითარებაში...

თავად განსაჯეთ. სწორედ ზეზვა მედულაშვილის დიდი რუდუნებისა და მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნაწილად იქცა სომხური, აზერბაიჯანული, ტაჯიკური, თურქმენული, სპარსული, უზბეკური, გერმანული, რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ამით მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო საქართველოს მეზობელი ხალხების მწერლობის ქართულად ამეტყველებას.

გრიგოლ ნარეკაცი, საიათნოვა, გ. სუნდუკიანი, ო. თუმანიანი, ა. ისააკიანი, ხ. აბოვიანი, ვ. ტერიანი, ე. ჩარენცი, ო, შირაზი, ს. კაპუტიკიანი, პ. ზეითუნიანცი, ჰ. მათევოსიანი, რ. დავოიანი — აი, იმ სომეხ მწერალთა არასრული სია, რომლებიც ამ მშვენიერმა შემოქმედმა თარგმნა. ამ თარგმანების გვერდით ზეზვა მედულაშვილის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია აზერბაიჯანული ზღაპრების, ბაიათების, ხალხური ეპოსის „ქოროღლის", ფიზულის, ნასიმის, ვაგიფის, ს. ვურღუნის, ს. რუსტამის, ფ. გოჯას, ა. აილისლის, რ. რზას, მ. არაზის, ანარის, ი. ჰუსეინოვის, ი. ისმაილზადეს და აზერბაიჯანული მწერლობის სხვა ღირსეული წარმომადგენლების თარგმანებს.

ძალზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს ზეზვა მედულაშვილის მიერ ომარ ხაიამის, ჰაფეზის, საადის (სპარსეთი), საბაჰათინ ალის (თურქეთი), ფულოდ ტოლისის, სადრიდინ აინის (ტაჯიკეთი), ალიშერ ნავოის (უზბეკეთი), მახთუმყულის (თურქმენეთი), რასულ გამზათოვის (დაღესტანი), რილკეს (ავსტრია), აფხაზი ალექსი ჯონუას, ივანე პაპასქირის, ოსი ნაფი ჯუსოითის ცალკეულ ნაწარმოებთა აჟღერება ქართულად.

ზეზვა მედულაშვილის მეგობარ მწერლებს მუდამ აოცებდათ მისი შემოქმედებითი ინტერესების მასშტაბურობა, ჭეშმარიტად ღრმა პროფესიონალიზმი. ამ ღვთივკურთხეული მთარგმნელის ფრაზა მოქნილი, ცოცხალი, ლაღი და დინამიური იყო. მისი შთაგონება ორგანულად ერწყმოდა ქართული პოეტური კულტურის თანამედროვე მიღწევებს, რაც განუმეორებელ პეწსა და ლაზათს მატებდა მის ნაკალმევს.

ზეზვა მედულაშვილის მრავალწლიანი ღვწა დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე ელიშე ჩარენცის სახელობის „კანდელის" (სომხეთი), ნაჯაფ ნაჯაფოვის, აკადემიკოს ზაჰიდ ხალილოვის სახელობის (აზრბაიჯანი), „საბას" და „საგურამოს" პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, „ქართული კულტურის ამაგდარისა" და „ქართული კულტურის დესპანის" მედლებით.

საოცარ კეთილშობილებას, სიხალისეს, გულითადობასა და სიკეთეს ასხივებდა მუდამ დიდსულოვანებითა და დიდბუნებოვნებით გამორჩეული ეს ღვაწლმოსილი მწერალი. სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ ზეზვა მედულაშვილი მის მეგობარ ქართველს მწერლებს, მისი კაშკაშა შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

## ჩვენი ზეზვა

ზეზვა მედულაშვილმა განუმეორებელი თარგმანებით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის გამდიდრების საქმეში. განსაკუთრებით კი სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურა მოექცა მისი ინტერესების სფეროში. კითხულობ მის თარგმანებს და გეუფლება განცდა თითქოს უცხოელ ავტორებს ქართულ ენაზე შეექმნათ ისინი და მერე როგორი მადლიანი ქართულით. ასევე გეუფლება განცდა იმისა თუ რა განძის ფლობელნი ვყოფილვართ ქართული ენის სახით.

ზეზვა იყო საოცრად მორიდებული და ჩრდილში მდგომი ადამიანი. არავის არაფერზე არ შეაწუხებდა. თარგმანებს კი მაშინ მიიტანდა დასაბეჭდად, როცა თავს მოაბეზრებდნენ რედაქტორ - გამომცემლები.

ზეზვა იყო ჩინებული პოეტი, მაგრამ ლექსების გამოქვეყნებისგან რატომღაც თავს იკავებდა. ამავე დროს ზეზვა იყო უბადლო მოკაფიავე-ექსპრომტისტი. ერთხელ მას მეგობარმა უთხრა: - ზეზვა, აბა, თუ მაგარი ხარ, ემპირიოკრიტიციზმი გარითმეო. ზეზვამ მაშინვე მიაყოლა:

> მე ვხედავ, რომ შენი სახით
> იმპერია კრეტინს გვიზრდის,
> ვერაფერი გაგიგია
> ემპირიოკრიტიციზმის.

რომელ პანთეონს არ დაამშვენებდა ეს უნიჭიერესი მწერალი, რომლის ნაღვაწს, რაც დრო გავა, უფრო და უფრო დააფასებს ქართველი ხალხი.

*ნომადი ბართაია*

***საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით ზეზვა მედულაშვილს მიენიჭა საიათნოვას პრემია (გარდაცვალების შემდეგ) ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.***

# ზინაიდა უძილაური

## საქართველო დიდი პოლიტიკური გამოწვევების ქარ-ცეცხლში

მაშინ, როდესაც კოჰაბიტაციის გამო საქართველოში დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაა და ამავე დროს, ლამისაა გამოწვევებმა უფსკრულში გადაჩეხოს ქვეყანა, ამის ფონზე საქართველოში გააქტიურებას იწყებენ ანტისახელმწიფოებრივი ძალები...

გასაგებია, რომ ორხელისუფლებიანობის პირობებში ძნელია ქვეყნის მართვა, მაგრამ ეს ყველაფერი ისე დამღუპველად არ მოქმედებს საქართველოსთვის, როგორც შიდაპარტიული დაპირისპირება, რომელიც მმართველ გუნდშია. ფაქტობრივად სახელისუფლებო პოლიტიკურ ელიტაში იქმნება ნეგატივის წყარო, რომელიც შემდეგში სხვა დიდი გამოწვევების მაპროვოცირებელი სათავე ხდება. ნეგატივად მოვიაზრებ იმ ზოგიერთი პოლიტიკოსის საქმიანობას, რომელიც არანაირ თანხვედრაში არ მოდის ქვეყნის ინტერესებთან! მე ვიტყოდი, რომ ეს არაა უბრალოდ გამოწვევა, ეს საშიში და სამარცხვინო რეალობაა, რომელსაც შეუძლია, საქართველო წინსვლის ნაცვლად უკან დააბრუნოს და ჩაითრიოს ბნელ, უმართავ პოლიტიკურ პროცესებში... ვერა და ვერ შეიქმნა ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემო. რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება? უმთავრესი პრობლემა ისევ სათავეში უნდა ვეძიოთ. დავიწყოთ იქიდან, რომ მმართველი გუნდი უნდა გაიცხრილოს პარაზიტ პოლიტიკოსებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი უპასუხისმგებლობა გადაიყოლებს მთელ გუნდს. იმ ნამდვილ ღირსეულ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც „ქართულ ოცნებაშია" და ქვეყანას სჭირდება...

სანამ მთავრობის წარმომადგენლებს ერთმანეთში ომი აქვთ გაჩაღებული და პოლიტიკურად ერთმანეთის განადგურების რეჟიმში არიან, ქვეყანა ძლებს კარგავს. ნეგატივი კი, რომელიც იქმნება ზოგიერთი პოლიტიკოსის უგუნურებით, მიმზიდველია იმ ძალიბისთვია, რომლებიც ემიჯნებიან დემოკრატიულ ფასეულობებს და ღია ომს უცხადებენ ცივილურ დასავლურ პოლიტიკურ ღირებულებებს. რაში სჭირდება ეს ყველაფერი მერე ჩვენს ქვეყანას? - ქვეყანას არა, მაგრამ „ვიღაცას" სჭირდება. ის „ვიღაც" კი არაა საქართველოს კეთილმოსურნე. მათ სურთ, საქართველო საერთაშორისო პოლიტიკური რადარებიდან გააქრონ და სამუდამოდ ჩაახშონ საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხმა. ამ ყველაფრის ფონზე გამოდის ზოგიერთი თამაშგარე სიტუაციაში დარჩენილი პოლიტიკოსი, რომელსაც არ ერგო მანდატი სამთავრობო გუნდში, არც მთავარ ოპოზიციურ ძალაში და თავი ყოვლისშემძლედ გამოჰყავს. ხალხს ჰპირდება, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყანა დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დღეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას... ესე იგი ყველაფერი მარტივად ყოფილა და ეგ არის? - უფრო არ დაასწრაფონ ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვა, თორემ საქვეყნო საქმის გამკეთებელი რომ არავინაა და საქართველო ბედის ანაბარაა დარჩენილი, კარგად ჩანს კაი ხანია... ქვეყანა ლამისაა გადაყვეს კლანურ დაჯგუფებებს შორის არსებულ დაპირისპირებებს, რის ფონზეც იქმნება კრიმინოგენური ვითარების ხელისშემწყობი ნიადაგი. კრიმინალების „დამკრიშავი" პოლიტიკოსი არის ცხვრის ქურქში გახვეული მგელი. ასეთები კი იმისთვის მოდიან პოლიტიკაში, რომ „დაკრიშონ" ტავიანთი კანონსაწინააღმდეგო ინტერესები და კანონმდებლობა სათავისოდ მოირგონ. სანამ ასეთი პოლიტიკოსი იარსებებს მთავრობაში, ეს იქნება მწვანე შუქის ანთება კრიმინალური სამყაროსთვის. იმიტომაც იწყებენ საქართველოში გააქტიურებას უკანონო ბანდფორმირებები. აი, ამაზეა ნათქვამი, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო. თუ ასეთ დაჯგუფებებს გავლენიან პოლიტიკურ წრეებში არ ჰყავთ მფარველი და წამახალისებელი, რბილად რომ ვთქვათ, საქართველო ვერ იქნებოდა მათი დისლოკაციის ადგილი. ესე იგი, ამით რა დასკვნა იკვეთება? - ის, რომ ჩვენს ქვეყანაში კრიმინალების „შემოქმედება" ვიღაცას სჭირდება? და თუ ეს მართლა ასეა, წყალს წაუღია ქვეყანა და ეგ არის! მე ვიტყოდი, რომ მათი გამოცოცხლება და აქტიურ ფაზაში ყოფნა, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ეს არის გამოძახილი იმის, რომ სერიოზულ ჩიხშია შესული მმართველი პოლიტიკური ელიტა.

როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, საქართველოს კარგა ხანია დაკარგული აქვს სუვერენიტეტი. ამის დასტურია ის, რომ ქვეყანაში დაძრწიან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, რომელთა ნების გარეშე ვერანაირი პოლიტიკური მოვლენა უბრალოდ ვერ მოხდება საქართველოში, მართლა რომ გვძინავს, დავაკვირდეთ რა უბედურება გვჭირს, ისეთი გაჭირვება შექმნეს, ქართველს აიძულებენ სამშობლოდან გადაიხვეწონ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო. ამასობაში ამ გაჭირვებული ქვეყნით უცხოელები ინტერესდებიან! - რა აინტერესებთ ამ გაუბედურებული ქვეყნის? მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა! უსაზღვროდ დიდი მადლიერნი უნდა ვიყოთ იმაზეც თუ ხანდახან შეშფოთებას გამოთქვამენ, როცა საქართველოს ავბედითი ჟამი დაადგება და ამით შემოიფარგლებიან მხოლოდ, თუმცა სხვებისგან როგორ უნდა გაგვიკვირდეს გულგრილობა, როცა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსად წოდებული პირი გაცნობიერებულად ისეთ ნაბიჯებს დგამს, პირდაპირ მგლის ხახაში აგდებს ქვეყანას.

ახლა როგორ გვგონია, ამდენი მშიერი და გასაცოდავებული ადამიანი რომ ჰყავს ქვეყანას, ეს არაა გლობალური პოლიტიკის ინტერესების ნაწილი? ეს გაჭირვება ხელოვნურად შექმნილი გადაულახავი ბარიერია და ამით უნდათ აყარონ ქართველები საქართველოდან. „მათ" არ სჭირდებათ მაძღარი, პროგრესულად მოაზროვნე, წელში გამართული ერი. მშიერი, გონებაარეული ხალხი კი მხოლოდ იმაზე იფიქრებს, რითი ირჩინოს თავი, რომ ფიზიკურად არ განადგურდეს და მეტი არაფერი. ძლიერი ერი კი სულ სხვა რამეზე დაიწყებს ფიქრს, რაც პირდაპირ დამარცხებისთვის გაწირავს გლობალიზაციის ინტერესებს საქართველოსთან მიმართებაში... დამდგმელი რეჟისოი პოლიტიკური პროცესების, რომელიც ქვეყანაში ხდება, ჩვენი მტავრობა არაა, ამიტომაცაა, რომ სინამდვილეში ხალხი ჩამოშორებულია პილიტიკურ პრეცესებს და მიმდინარეობს არაპროგნოზირებადი პოლიტიკური თამაშები, რომელზეც ერს წარმოდგენა არ აქვს...

დღეს ხდება საქართველოს გამოყენება სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. ამიტომაც აქვთ მცდელობა, საქართველოზე სრული კონტროლის მოპოვების. ოკეანის გაღმა საერთოდ არ აინტერესებთ ჩვენი ეროვნული ინტერესები. ეს კარგა ხანია ნათელია - საქართველო განხილულია და მოიაზრება მათ სტრატეგიულ მოკავშირედ, მაგრამ სად ჩანს ამ თანამშრომლობაში საქართველოს ხეირი? რა არის სინამდვილეში ეს თანამშრომლობა? ის ხომ არა, რომ საქართველო სტრატეგიულ გეოგრაფიული მდებარეობის გამო აქციონ სატრანზიტო სახმელეთო ტრასად და გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებისთვის? სწორედ ასეთ პროცესებშია ჩათრეული დღეს საქართველო, რომლის ხსნაზე ფიქრიც კი შეუძლებელია დღევანდელი ხელისუფლებისთვის...

და მაინც, კვლავ გამოკრთა შუქი გვირაბის ბოლოს.

სანამ კვირიკაშვილი ლუკაშენკოსთან თავის რუს ბებიას ცრემლშერეული იხსენებდა და „ძველი" და „ახალი" პარლამენტარები ერთმანეთს უბღვერდნენ, ესენი დამიღუპავენ ქვეყანასო, გაიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა და პოლიტიუკაში დაბრუნდა.

კურთხეულ იყოს ეს დაბრუნება.

ბიძინას მეორედ მოსვლა საქართველოსთვის მაშველი რგოლია.

საქართველოს მწერალთა კავშირი და
„მწერლის გაზეთის" რედაქცია თანაუგრძნობენ
პოეტ გოჩა ხარანაულს მამის
**სოლომონ ხარანაულის**
გარდაცვალების გამო

მწერლის გაზეთი

№4
ფასი 1 ლარი
15 მაისი – 15 ივნისი
2018

მისამართი: მაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.: 293-55-15
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com

9 771987 698009